პროლეტარეებო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 263 (10657)
 კვირა
11
ნოემბერი
1956 წ.

ფასი 20 კაპ.

შევისწავლოთ, განვაზოგადოთ და გავავრცელოთ პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება

პროპაგანდისტული მუშაობა ცოცხალი, დიდად საინტერესო, შემოქმედებითი საქმეა. იგი ვერ ურიგდება დოგმატიზმსა და მედავითნეობას, შტამპსა და სკოლარობას. წარმატებას აღწევს ის პროპაგანდისტი, რომელიც ყოველდღიურად მუშაობს თავის თავზე, შემოქმედებითად უდგება საქმეს, ეძებს და იძენს მუშაობის ახალ, უფრო სრულყოფილ ფორმებს, მეთოდებს, ვინც მჭიდროდ უკავშირებს პროპაგანდისტულ საქმიანობას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

პიროვნების კულტის მავნე შედეგების აღმოფხვრისათვის ბრძოლა, რომელიც გააჩაღა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, კიდევ უფრო ფართო გასაქანს აძლევს ჩვენს პროპაგანდისტებს შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტული მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. წლების განმავლობაში აღიზარდა და გამოიწრთო ბევრი პროპაგანდისტი, რომლებიც სრულყოფილად დაეუფლნენ პროპაგანდისტულ ხელოვნებას, მეცადინეობას ხდიან საინტერესოს, გულში ჩამწვდომს, გასაგებს. ისინი მსმენელებში ზრდიან ინტერესს სწავლისადმი, უღვიძებენ ვემოვნებას, აბამენ მათ საკითხთა განხილვაში, ავითარებენ მათს აქტივობას ახალ და ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად კომუნიზმის მშენებლობაში.

პროპაგანდისტული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს კომუნისტ გ. ჩაფიძეს. იგი ყოველთვის შემოქმედებითად ეკიდება ამ საპატიო და კეთილშობილურ საქმეს, მუდამ ახლის ძიებაშია, დაუღალავად მუშაობს თავის თავზე თეორიული ცოდნის დონის ასამაღლებლად, რის შედეგად კარგად ათვისებულ თავს დაკისრებულ მოვალეობას. გასულ წელს მან საუკეთესოდ დააყენა სწავლება ცენტრალური ტელეგრაფის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში. იქ მეცადინეობა ხალისიანად, მაღალ იდეურ დონეზე ტარდებოდა. მსმენელები დიდ აქტივობას იჩენდნენ სწავლაში, ღრმა ინტერესით მუშაობდნენ წიგნებზე, იმდიდრებდნენ ცოდნას. სავსებით აღმოფხვრილი იყო მეცადინეობაზე დაკლებადაგვიანება. პროპაგანდისტმა წრეში საუკეთესოდ მოაწყო პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლა, დარაზმა მსმენელები ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. პროპაგანდისტი ყოველი მეცადინეობის წინ გულდასმით ეცნობოდა ცენტრალური ტელეგრაფის მუშაობას, ამჟღავნებდა ნაკლოვანებებს და მეცადინეობაზე მსჯელობის საგნად ხდიდა მათ. ბევრი ნაკლი გამოსწორდა პროპაგანდისტისა და მსმენელთა ჩარევით. მაგალითად, მსმენელები ი. შეხავცოვი და თ. ზანდუკელი წარმატებებს ვერ იჩენდნენ სამსახურში, ნაკლოვანებები გააჩნდათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. პროპაგანდისტმა მოაწყო მათი საკითხის განხილვა როგორც წრის მორიგ მეცადინეობაზე, ისე პარტიულ ორგანიზაციაში. ამხანაგების გავლენით ისინი მალე გამოსწორდნენ. მოწინავე მსმენელებმა გრიაზნოვმა, გვარამაძემ, კოლოსოვმა, ლიუდიჩინ, გეოდოკიანმა დიდი მუშაობა გასწიეს ავტომატიზაციის დასანერგავად, ტექნიკური გაუმჯობესებისათვის ცენტრალური ტელეგრაფის მუშაობაში. წელს ამხ. ჩაფიძე იმავე ორგანიზაციაში ხელმძღვანელობს მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეს. მან ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. მეცადინეობა ყოველთვის მაღალ იდეურ დონეზე ეწყობა.

საუკეთესოდ მოაწყო სწავლება ავტოსარემონტო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეში პროპაგანდისტმა ი. იზიკოვსკიმ. ამხ. იზიკოვსკის ახასიათებს ახლის ძიება, შემოქმედებითი მიდგომა თეორიული სწავლებისადმი. მან მსმენელებს გაუღვიძა ღრმა ინტერესი ეკონომიური ცოდნისადმი.

განვლილ სასწავლო წელს ყველას მოწონებას იმსახურებდა პროპაგანდისტ ტ. სულაბერიძის მუშობა. იგი ხელმძღვანელობდა ვანის რაიონის სალხინოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეს. ამ წრეში გაერთიანებული კომუნისტები შესანიშნავად ეუფლებოდნენ ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ისტორიას, სკკპ XX ყრილობის მასალებს. პროპაგანდისტმა ამას მიაღწია წრისადმი უნარიანი ხელმძღვანელობით, საქმის ღრმა სიყვარულით. მან საგრძნობლად შეუწყო ხელი კომუნისტების შრომითი აქტივობის ზრდას, რადგან ყოველი მეცადინეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული კომუნისტების წინაშე მდგომ ამოცანებთან. წრის მსმენელები, კომუნისტები გ. ლეჟავა, ნ. ძაგნიძე, ა. ჯულაყიძე, ა. შალამბერიძე, ნ. კიკვაძე და სხვები წარმატებით მუშაობდნენ მეცხოველეობის ფერმებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ვენახებში. მიმდინარე სასწავლო წელს ეს ამხანაგები გაერთიანებული არიან სწავლის უფრო მაღალ ფორმაში — სემინარში.

ისეთი პროპაგანდისტები, როგორიც გ. ჩაფიძე, ი. იზიკოვსკი და ტ. სულაბერიძეა, ჩვენს რესპუბლიკაში ცოტანი როდი არიან. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა შეისწავლონ, განაზოგადონ და გაავრცელონ მათი გამოცდილება და ამით დაეხმარონ სხვა პროპაგანდისტებს პოლიტიკური სწავლების უკეთ მოწყობაში. განსაკუთრებით დიდი დახმარება სჭირდებათ იმ ამხანაგებს, რომლებმაც წელს პირველად დაიწყეს პროპაგანდისტული მუშაობა ჯერ კიდევ არა აქვთ სათანადო ჩვევები, გამოცდილება.

პარტიის რაიკომები, საქალაქო კომიტეტები, პარტიული ორგანიზაციები, პოლიტიკური განათლების სახლეები და კაბინეტები გასულ წელს ნაკლებად სწავლობდნენ და განაზოგადებდნენ პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებას. სწორედ ეს იყო იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ბევრი პროპაგანდისტი, კონსულტანტი, წრე, სკოლა, სემინარი არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ. წელს ეს არ უნდა გამეორდეს.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მოწინავე პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის განზოგადებას, რომლებმაც გააუმჯობესეს და ახლებურად მოაწყეს პროპაგანდისტულ კადრებთან მუშაობა, ყოველდღიურად წარმართავენ კომუნისტების თეორიულ სწავლებას, უნარიანად ახორციელებენ სემინარების, წრეებისა და სკოლების ხელმძღვანელობას, თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებისადმი კონტროლსა და დახმარებას, დაუცხრომლად ზრუნავენ კადრების ეკონომიური განათლებისათვის.

სექტემბრის თვის მეორე ნახევრიდან მუშაობას შეუდგნენ პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარები. საჭიროა სემინარებზე ხშირად ეწყობოდეს მოწინავე პროპაგანდისტთა გამოსვლები, მათი დადებითი მუშაობის გაზიარება, საჩვენებელი მეცადინეობა. ეს პოლიტიკური განათლების კაბინეტებისა და სახლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების მთავარი მეთოდია წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა. იგი განსაკუთრებით მოითხოვს მუშაობის ახალ, გაუმჯობესებულ ფორმებსა და მეთოდებს. ბევრი შესანიშნავად აწყობს თეორიის დამოუკიდებლად შესწავლას, მის პრაქტიკასთან დაკავშირებას. მათი მუშაობის მეთოდების გაცნობა, გამოცდილება დიდად დაეხმარება სხვებს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც წიგნზე მუშაობის საკმაო ჩვევები არა აქვთ. ამისათვის საჭიროა ხშირად ეწყობოდეს თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგების თათბირები გამოცდილების გაზიარების მიზნით, თეორიული გასაუბრებანი, კონფერენციები, რეფერატების მოსმენა, ინდივიდუალური და კოლექტიური კონსულტაციები. ასევე დიდი ყურადღება უნდა დაეუთმოთ მოწინავე კონსულტანტების მუშაობის მეთოდების სხვებისათვის გაცნობას.

პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ რაიონულმა, საქალაქო და საოლქო გაზეთებმა. გასულ წლებში ისინი ამ საქმეში საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ.

პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა ფართოდ გამოიყენონ პროპაგანდისტულ მუშაობაში შეძენილი გამოცდილება, განაზოგადონ და გაავრცელონ იგი, მიაღწიონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემოქმედებითს შესწავლას, იმას, რომ კომუნისტების სწავლება წელს უფრო ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე, პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდეს.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა ჯგუფის მიღება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

9 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბარი დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა ჯგუფთან, რომელიც მოსკოვში იმყოფება. ჯგუფს მეთაურობს პარტიის აღმასკომის პოლიტიკური კომიტეტის წევრი, გაზეთ „დეილი უორკერის“ რედაქტორი დ. რ. კემპბელი.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა მ. ა. სუსლოვმა, პ. ნ. პოსპელოვმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბ. ნ. პონომარიოვმა.

საუბარში, რომელმაც მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს ინგლისელი ამხანაგებისათვის საინტერესო საკითხები. (საკდესი).

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

მოსკოვის ახალგაზრდობის მიტინგზე 1956 წლის 8 ნოემბერს

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მოგესალმოთ თქვენ, მოსკოვის ახალგაზრდობას, კომკავშირელებს, მოგესალმო ყველა ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტს, რომლებიც მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას და აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში. ისინი აქ არ ესწრებიან, მაგრამ ჩვენ მხურვალედ ვულოცავთ მათ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რთული და პასუხსაგები ამოცანის წარმატებით შესრულებას. ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, კომკავშირელებს, საბჭოთა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი და გისურვოთ ახალი წარმატებანი. **(მქუხარე ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ აღნიშნულია კომკავშირელებისა და საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი დამსახურება სოციალისტურ მშენებლობაში, რომელნიც ყოველთვის მხურვალედ ეხმაურებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებებს, და განსაკუთრებით აღნიშნულია კომკავშირელების, საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების თავდადებული და ნაყოფიერი შრომა ყამირი და ნასვენი მიწების წარმატებით ათვისებაში. პარტიას და მთავრობას იმედი აქვთ და დარწმუნებული არიან, რომ კომკავშირი კვლავაც ასე მხურვალედ გამოეხმაურება ასეთ მოწოდებებს. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა დიდი ლენინის, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო, დაანადგურა ექსპლოატატორთა ძალაუფლება, ააშენა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო, შექმნა პირველხარისხოვანი მრეწველობა, შექმნა თავისი მძლავრი არმია, მაღლა აიყვანა მეცნიერება და კულტურა ჩვენს ქვეყანაში, შექმნა თავისი ტექნიკური ინტელიგენცია. საბჭოთა ხალხმა, რომელიც თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა, ისტორიულად მოკლე ვადებში ააშენა სოციალიზმი. ყველაფერი, რითაც იგი მდიდარია, საბჭოთა ხალხმა საკუთარი ხელით შექმნა. საბჭოთა კავშირის წარმატებებმა შესძრეს მთელი მსოფლიო — მეგობრებს ახარებთ ჩვენი წარმატებანი და მხურვალედ მიესალმებიან მათ, ხოლო მტრებში ეს წარმატებანი გააფთრებულ გაბოროტებას იწვევენ.

დიდი წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა ხალხმა უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეშიც.

როცა უყურებ ციფრებს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში, სულითა და გულით ხარობ და ამაყობ იმ წარმატებებით, რომლებიც მოიპოვეს ჩვენმა ხალხმა, გმირმა მუშათა კლასმა, ჩვენმა სახელოვანმა მშრომელმა გლეხობამ, საბჭოთა ინტელიგენციამ, ჩვენმა პარტიამ, კომკავშირმა, რომელიც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ჩვენი მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე.

ამხანაგებო! სამი წლის წინათ პარტიამ მიიღო გადამწყვეტი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. მან დარაზმა საბჭოთა ხალხის ძალები მარცვლეულის პრობლემის გადასაჭრელად, ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, რამაც თავისი შესანიშნავი შედეგები გამოიღო. აქ გამოვიდა კოკჩეტავის ოლქის ტრაქტორისტი ამხ. სომაკოვი. მან კარგად გვიამბო ყამირზე, საბჭოთა ახალგაზრდობის გმირობაზე. მაგრამ ჩვენ მარტო გმირები როდი გვყავს. იყვნენ დეზერტირებიც, რომლებიც ჩანთააკიდებულნი გარბოდნენ ყამირიდან შინ. ალბათ ისინიც ლაპარაკობდნენ ყამირზე. მაგრამ ლაპარაკობდნენ სხვანაირად. ისინი სიმხდალეებმა შეაშინა.

ორჯერ ვიყავი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების სხვადასხვა რაიონში. ეს უსაზღვრო სივრცეებია, უმდიდრესი მხარეები. თუ 1954 წელს ჩვენ იქ ვხედავდით ვაციწვერას მთლიან ველებს, წელს იქ უკვე ხორბლის მთლიანი ზღვები იყო. ზოგჯერ ჩვენ რამდენიმე საათს მივდიოდით ამ ზღვებით და მხოლოდ ერთ რაიონს გავივლიდით. მიდიხარ, მიდიხარ, როგორც ნავით ზღვაში, გარშემო კი სულ ხორბალია, და მერე რა მშვენიერი ხორბალი, ამხანაგებო!

ერთხელ ალმა-ატიდან ველაპარაკე ანასტას ივანეს-ძე მიქოიანს. ერთმანეთს აზრი გავუზიარეთ იმის შესახებ, თუ რა შესაძლებლობა გვაქვს ჩვენი ქვეყნის უზრუნველსაყოფად პურით. როცა მას ვუთხარი, რომ ყაზახეთი წელს მოგვცემს მილიარდ ფუთ მარცვლეულს, მან არაფერი არ მიპასუხა. ვეუბნები:

— რას გაჩუმებულხარ?

მან მიპასუხა:

— არ გედავები, მაგრამ მილიარდი მთლად არა მჯერა. 750 მილიონი შეიძლება იყოს გეგმით გათვალისწინებული 650 მილიონის ნაცვლად, მაგრამ მილიარდი?

გახსოვს ასეთი საუბარი, ანასტას ივანეს-ძეს? თქვი თუ არა ასე? **(დარბაზში სიცილია).**

— ვთქვი.

— ყაზახეთმა რაღა თქვა?

— მან შეასრულა თავისი სიტყვა.

— მოგვცა მილიარდი?

— დიახ, მილიარდი!

ეს იმას მოწმობს, რომ ზოგიერთი ჩვენგანი, ხელმძღვანელებიც კი, რომლებმაც დააყენეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საკითხი, არ მოელოდნენ ასეთ შესანიშნავ შედეგებს, განსაკუთრებით ყაზახეთში, რომელიც წინათ ცოტა მარცვლეულს აწარმოებდა. აი ამიტომ გასაგებია ანასტას ივანეს-ძის ასეთი გაკვირვება იმ დროს.

ყაზახეთის მარტო კუსტანაის ოლქში დაბზადებულია 280 მილიონი ფუთი პური! ხედავთ, რა ძალაა ეს. ყაზახეთის რესპუბლიკამ ჩვენს ქვეყანას მისცა მილიარდი ფუთი მარცვლეული! რუსეთის ფედერაციის ოლქებმა და მხარეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს ორი მილიარდი ფუთი პური, ამასთან მარცვლეულის მნიშვნელოვანი რაოდენობა მიღებულია ყამირი მიწების ათვისების რაიონებში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ბურჟუაზიული პრესა ცოტას როდი დაგვცინოდა, როცა აღიძრა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საკითხი. ბევრნი ყვავივით დაგვჩხაოდნენ, ეს საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობის კრიზისიაო, ეს საქმე ჩაიფუშებაო, საბჭოთა ადამიანები ასეთი უკაცრიელი სივრცეების ათვისებაში ვერაფერს გახდებიანო. გაჰყვიროდნენ, იქ, ამ რაიონებში, კიდევაც ცივა და კიდევაც ცხელაო. დაცინვას ბოლო არ უჩანდა.

მაგრამ არის კარგი რუსული ანდაზა: კარგად ის იცინის, ვინც უკანასკნელი იცინის! საბჭოთა ხალხმა მოიგო დიდი ბრძოლა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის. ახლა ჩვენ დავცინით იმათ, ვინც სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ დაგვცინოდა. **(მქუხარე ტაში).**

მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა დაკავშირებულია ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებასთან. ჩვენს ქვეყანაში უკვე ათვისებულია 35,5 მილიონი ჰექტარი მიწები. ეფიქრობ, რომ უახლოეს ორ წელიწადში კიდევ დამატებით იქნება ათვისებული სულ ცოტა 5 მილიონი ჰექტარი. ამას შეიძლება მივაღწიოთ არა დამატებითი ტექნიკის გამოყოფით, არამედ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებით, მანქანების უკეთ გამოყენებით.

ყამირი მიწების ათვისების მეოხებით ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად გადიდდა მარცვლეულის წარმოება. 5 ნოემბრისათვის ჩვენს ქვეყანაში დამზადებულია 3 მილიარდ 281 მილიონი ფუთი მარცვლეული, ხოლო სხვა პროდუქტების ჩათვლისა და შეცვლის გათვალისწინებით — 3 მილიარდ 463 მილიონი ფუთი, რაც ერთი ბილიარდი ფუთით და მეტით აღემატება საუკეთესო მოსავლიანი წლების დამზადებას. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოსამარაგებლად საჭიროა დაახლოებით 2 მილიარდი ფუთი პური. ახლა ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა უკეთ გადავჭრათ ბევრი საკითხი, რომლებიც სასიცოცხლოდ საჭიროა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი ქვეყნის შემდგომი კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის, მისი გამაძლეობისა და მტრებისაც შეიძლება ედავო. **(ხანგრძლივი ტაში).** გაკეთებული ბევრია, ამხანაგებო, მაგრამ ტრაბახი არ შეგვშვენის.

კარგად იმუშავეს სოფლის მშრომელებმა მეცხოველეობის აღმავლობის დარგშიც. მკვეთრად გადიდდა პირუტყვის პროდუქტიულობა. საერთო წველადობა კოლმეურნეობებში წელს გასულ სამეურნეო წელთან შედარებით გადიდდა 32 პროცენტით, ხოლო 1952-1953 წელთან შედარებით — 94 პროცენტით. ერბო-კარაქის წარმოება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე წლის 10 თვის მანძილზე გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გადიდდა 23 პროცენტით, ხოლო 1953 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით — 46 პროცენტით. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობისათვის რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიყიდვა. ეს ახარებს ყველა საბჭოთა ადამიანს. წარსულს ბარდება ისეთი არანორმალური მოვლენა, როცა ჩვენი ქალაქების მშრომელებს არ ყოფნიდათ რძე. პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ღონისძიებანი, რათა სამუდამოდ მოუღონ ბოლო ამ ნაკლს. ახლა მოსკოვში და ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა ქალაქში მუდამ არის გასაყიდად ახალი რძე. უკეთ მარაგდებიან ჩვენი ქალაქები კარტოფილითა და კომბოსტოთი. გადიდდა ბოსტნეულის დამზადება. ახლა საჭიროა მისი კარგად შენახვა. უნდა მოვსპოთ ისეთი უმსგავსობა, როცა ზოგ შემთხვევაში მოსახლეობას აძლევენ უხარისხო კომბოსტოსა და სხვა ბოსტნეულს. სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები მოვალენი არიან უკეთ იმუშაონ, იზრუნონ იმისათვის, რომ კარგად მოაგვარონ ვაჭრობა, ისწავლონ პროდუქტების კარგად შენახვა, რომ ეს პროდუქტები მუდამ ახალი იყოს და არ ლპებოდეს საწყობებში.

დარწმუნებული ვართ, ამხანაგებო, რომ მომავალ წელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მომარაგება რძით, ხორცით და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებით კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

ახლა მეტი პროდუქტებია არა მარტო სახელმწიფო მაღაზიებში, არამედ ბაზარზეც. ცნობილია, რომ მოსახლეობა პროდუქტების მნიშვნელოვან რაოდენობას ყიდულობდა არა მაღაზიებში, არამედ ბაზარზე. რადგან ახლა ზოგიერთი პროდუქტის ფასი მთელი რიგი ქალაქების ბაზრებზე ისეთივეა, როგორიც სახელმწიფო მაღაზიებში, ხოლო ხშირად უფრო ნაკლებიც, ვიდრე მაღაზიებში, მუშებსა და მოსამსახურეებს ამით დიდი მოგება აქვთ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 1956 წლის 9 თვეში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები საკოლმეურნეო ბაზრებზე გასულ წელთან შედარებით შემცირდა: პურის პროდუქტებისა 14 პროცენტით, ბოსტნეულისა — 19 პროცენტით, ახალი რძისა — 21 პროცენტით, ერბო-კარაქისა — 28 პროცენტით. უნდა ითქვას, რომ მთელი

(დასასრული მე-2 გვერდზე)



მოწინავე მწველავები

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. ხალხი სიხარულით შეხვდა ცნობას, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა.

ამ საერთო წარმატებაში თვალსაჩინოა აჭარის ასს რესპუბლიკის მთელ რიგ მოწინავე კოლმეურნეობათა, აჭარელ მეცხოველეთა წვლილი. აჭარამ გადამეტებით შეასრულა 1955-1956 სამეურნეო წლის წველადობის გეგმა.

ამ სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ) თქვენ ხედავთ აჭარის მოწინავე მეცხოველეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს წველადობის წლიური გეგმების შესრულებაში, წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სოფიო კუცუროვა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავია. იგი 11 ძროხას უვლის. მან საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 2.479 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.450 კილოგრამისა.

ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი **ფ. აბულაძე** უვლის 7 საფურაჟე ძროხას. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მან გეგმით გათვალისწინებული 2.600 კილოგრამის ნაცვლად მიიღო 2.915 კილოგრამი რძე.

ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა **ხურიე კაკალაძემ** თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 2.613 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.450 კილოგრამისა.

იმავე რაიონის ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა **მარიამ მალამმი** რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.450 კილოგრამისა.

ოზურგეთის რაიონის სოფელ ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი **ფ. აბულაძე** უვლის 7 საფურაჟე ძროხას. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მან გეგმით გათვალისწინებული 2.600 კილოგრამის ნაცვლად მიიღო 2.915 კილოგრამი რძე.

ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა **ხურიე კაკალაძემ** თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 2.613 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.450 კილოგრამისა.

ბათუმის რაიონის სოფელ ფერიის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა **ძ. ბერიძემ** მასზე მიმაგრებული 10 საფურაჟე ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ მიიღო 2.010 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამისა.

იმავე რაიონის მეჯინისწყლის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა **ხ. ბერიძემ** საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 2.966 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.550 კილოგრამისა. იგი 8 მეწველ ძროხას უვლის.

აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ამ მოწინავე მეცხოველეებმა, მწველავებმა თავიანთი სახელოვანი შრომით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს სარძეო მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. მათი ვალდებულებაა უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიონ.

ნახატები ი. კალაძისა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

რიგი პროდუქტების ხარისხი ხშირად ბაზარზე უკეთესია, ვიდრე მაღაზიებში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მაღაზიებში პროდუქტების ხარისხი უნაკლო იყოს.

ეჭვი არ არის, ამხანაგებო, რომ XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება. ეს გაკეთდება, ამხანაგებო! **(ტაში).**

თუ ჩვენ კარგად ვიმუშავებთ, სწორად გამოვიყენებთ ჩვენს ძალებსა და შესაძლებლობებს, გავაუმჯობესებთ ხელმძღვანელობას კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი, მაშინ შევძლებთ ვადამდე გადავჭრათ ამოცანა, რომელიც პარტიამ დასახა სოფლის მეურნეობის დარგში. მაგრამ ამისათვის უნდა ვიმუშაოთ, ამხანაგებო, და კარგადაც ვიმუშაოთ. ხოლო კვების პროდუქტების წარმოების გადიდებით ჩვენ შესაძლებლობა გვექნება სულ უფრო გავაფართოოთ ამ პროდუქტების მოხმარება. ამისათვის საჭირო იქნება ავიღოთ ფასების შემცირების გზი, რათა ამ პროდუქტებს სულ უფრო მეტი რაოდენობით იყენებდეს მოსახლეობა.

ამრიგად, ჩვენ გვექმნება ძალიან დიდი პერსპექტივები და შესაძლებლობანი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და კომუნისტური საზოგადოებისაკენ ჩვენი წინსვლის დაჩქარების საკითხში. ხალხს უნდა ჰქონდეს კარგი სადილი, კარგი ბინა, ტანსაცმელი, სწავლის, თავის კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობა; ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ჩვენი პარტიის მიზანია. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენ ბევრი ქარხანა ავაშენეთ და ბევრ ახალ ქარხანას ვაშენებთ. პარტიის XX ყრილობამ დასახა ცომბირის რაიონებში მრეწველობის განვითარების დიდი ამოცანა. სიტყვა ცომბირი ახლა ჩვენი ხალხის სიამაყეს იწვევს. სიმდიდრე იქ აურაცხელია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია აუთვისებელი რაიონიც. საჭიროა, რომ იქ წავიდნენ კომკავშირელები და თავიანთი დაუცხრომელი ენერგია მოახმარონ ცომბირის უმდიდრესი რაიონების ათვისების საქმეს, ამ რაიონებში ქარხნებისა და ფაბრიკების, მძლავრი ელექტროსადგურების აშენებას.

იმისათვის, რომ დავაჩქაროთ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნა, ახალგაზრდობა და ყველა საბჭოთა ადამიანი უფრო ღრმად უნდა დაეუფლოს ცოდნას, კვალიფიკაციას, გაუწყვეტლივ ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას, მტკიცედ იბრძოდეს მასალების, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ისწავლოს მომჭირნეობა ყველაფერში, რათა შექმნას მეტი ფასეულობანი ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი ხალხისათვის. ეს, ამხანაგებო, უმნიშვნელოვანესი ამოცანებია, რომელთა გადაჭრისათვის მუდამ უნდა ვიბრძოდეთ შეუნელებელი ენერგიით.

ვამთავრებ რა ჩემს სიტყვას, ამხანაგებო, ერთხელ კიდევ გიძღვნით თქვენ, კომკავშირელებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მადლობას და გისურვებთ, რომ ჩვენმა ლენინურმა კომკავშირმა კიდევ უფრო მაღლა ასწიოს თავისი დროშა, რომ იგი მტკიცე ნაბიჯით მიდიოდეს წინ იმ გზით, რომელიც დასახა ჩვენი პარტიის XX ყრილობამ. **(მჟუხარე ტაში).**

ჩვენ შეუნელებლად უნდა განვამტკიცებდეთ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას, განვამტკიცებდეთ ჩვენი გმირი საბჭოთა არმიის ძლიერებას. როგორც იცით, ამას წინათ იმპერიალისტები ავაზაკურად დაესხნენ თავს ეგვიპტეს. საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ სამარცხვინო ბოძზე გააკრეს იმპერიალისტი მტაცებლები, რომლებიც თავს დაესხნენ თავისუფლებისმოყვარე ეგვიპტელ ხალხს.

საბჭოთა ხალხის ხმა ეგვიპტის დასაცავად გაგონილ იქნა უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ძლიერების მეოხებით, იმის მეოხებით, რომ მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, გაგონილ იქნა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის მეოხებით. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ეგვიპტელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში თავისი დამოუკიდებლობისათვის, მივაღწიოთ აგრესორთა ჯარების გაყვანას ეგვიპტიდან. სუეცის არხი კანონით ეკუთვნის ეგვიპტის სახელმწიფოს, რომელიც უზრუნველყოფდა და უზრუნველყოფს ნაოსნობის თავისუფლებას ამ არხში ყველა დაინტერესებული ქვეყნისათვის მისი აღდგენის შემდეგ. ჩვენ არ უნდა შევანელოთ ღონისძიებანი ეგვიპტის მხარდასაჭერად, რათა ყველა დაუპატიჟებელი სტუმარი გაეთრიოს ეგვიპტის მიწაწყლიდან, რათა ომის დამნაშავენი, რომელთაც დიდი მსხვერპლი და ზარალი მოუტანა ეგვიპტელი ხალხის მეურნეობას, სასტიკად დაისჯნენ, რათა აგრესორს თავდასხმის ხალისი დაეკარგოს. **(ტაში).**

მოკლედ შეეხო რა უნგრეთის უკანასკნელ ამბებს, ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა თუ რა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს უნგრეთში სოციალისტური ძალების ბრძოლას კონტრრევოლუციის ხრიკების წინააღმდეგ. უნგრეთში კონტრრევოლუციის განადგურებას მხურვალედ მიესალმებიან ყველა სოციალისტური ქვეყნის მშრომელები, მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები. ცნობილია, რომ თავიანთ ცდებში ძირი გამოეთხარათ სახალხო-დემოკრატიული წყობილების საფუძვლებისათვის სოციალიზმის მტრები განსაკუთრებულ იმედს ამყარებდნენ ახალგაზრდობაზე, ცდილობდნენ რა მოეტყუებინათ იგი ყალბი ლოზუნგებით, აეცდინათ სწორი გზიდან. ამის გამო საჭიროა დაუცხრომლად ავამაღლოთ სიფხიზლე, მეტი ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდობის სწორ აღზრდას.

უნდა გავაუმჯობესოთ ორგანიზაციული მუშაობა, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, თანმიმდევრულად დავიცვათ დემოკრატიის პრინციპები. ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებით უნდა გამოვასწოროთ მცდარი შეხედულებანი და საკადრისი პასუხი გავცეთ არაჯანსაღ მოვლენებს.

ამხ. ხრუშჩოვმა ილაპარაკა იმაზე, რომ რამდენიმე ხნის წინათ რუმინელი ამხანაგები განუმარტავდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის ცალკეულ ჯგუფებს მათს ნაწილობრივ შეცდომებს, ამასთან მოაგონებდნენ ახალგაზრდობის დიდ პასუხისმგებლობას თავისი ხალხის წინაშე.

შენიშნეს რა ზოგიერთი არაჯანსაღი განწყობილება ერთ-ერთი სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზრდობაში, რუმინელმა ამხანაგებმა გადაწყვიტეს გულახდილად ესაუბრათ ასეთ მოსწავლეებთანაც და ზოგიერთი მათგანის მშობლებთანაც. ამასთან საუბრის დროს მათს წინაშე დააყენეს ასეთი საკითხები:

— თქვენ სწავლობთ ინსტიტუტში და ილებთ სტიპენდიას?

— დიახ, — უპასუხეს მოსწავლეთა ასეთმა წარმომადგენლებმა.

— თქვენ გაქვთ საერთო საცხოვრებელი და გყავთ კარგი პროფესორები?

— დიახ, — დაადასტურეს მოსწავლეებმა,

— თქვენ გინდათ სწავლა? — ჰკითხეს მათ.

— გვინდა, — უპასუხეს მათ.

— მაშინ ისწავლეთ უკეთესად, უფრო ღრმად ჩასწვდით ცხოვრებას. თუ ზოგიერთს არა სურს კარგად სწავლა, წავიდეს და იმუშაოს, მაშინ ისინი, ალბათ, უფრო ღრმად ჩასწვდებიან მშრომელი ხალხის ცხოვრებას.

ამ გულახდილ საუბარს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობისათვის.

მეორე ადგილას მუშები წავიდნენ სასწავლებელში, რათა ესაუბრათ მოსწავლეებთან. მუშებმა ასე უთხრეს მოსწავლეებს: ჩვენ ვმუშაობთ, თქვენ კი სწავლობთ, ჯერჯერობით თქვენ იმის ხარჯზე ცხოვრობთ, რასაც ჩვენ ვქმნით, ამიტომ კეთილ ინებეთ და კარგად ისწავლეთ. თუ თქვენ არ მოგწონთ ჩვენი წესები, რომლებიც ჩვენ საკუთარი სისხლით, საკუთარი შრომით მოვიპოვეთ, მაშინ წადით და იმუშავეთ, თქვენს ადგილს კი სხვები მოვლენ სასწავლებლად. სწორად მოიქცნენ ეს ამხანაგები? მე მგონია, სწორად. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხ. ხრუშჩოვმა შემდეგ ილაპარაკა საბჭოთა ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ამოცანებზე. საჭიროა, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, ამბობს იგი, უფრო ახლო იყოს ცხოვრებასთან. საჭიროა, რომ უმაღლეს სკოლებში შედიოდეს ახალგაზრდობის ნამდვილად საუკეთესო, ყველაზე მოწინავე ნაწილი. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პრაქტიკაში, ხშირად ოქროს მედლებსაც სწორად არ აძლევენ; ზოგჯერ თვითნებურად უდიდებენ ნიშნებს სკოლებში. საჭიროა გაუმჯობესდეს უმაღლეს სკოლაში მიღების წესი, გაკეთდეს ისე, რომ უმაღლეს სასწავლებლაში მოხვდნენ ნამდვილად უკეთესნი უკეთესთაგან, რომ ესენი იყვნენ ლენინის საქმის, ხალხის საქმის ერთგული ადამიანები. საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში მეტი მივიღოთ ახალგაზრდობა წარმოებიდან, ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, მშენებლობებიდან, კოლმეურნეობებიდან, მტს-ებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან.

ამხანაგებო! ჩვენ უნდა ვიმუშაოთ უკეთ და უკეთ, რათა კიდევ უფრო გადიდდეს ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება, რათა კიდევ უკეთ, უფრო უზრუნველყოფილად ცხოვრობდეს ჩვენი საბჭოთა ხალხი, რათა ჩვენი ქვეყანა იყოს მიუვალი ციხესიმაგრე მტრებისათვის, ჩიტაღდანი, მაგალითი მეგობრებისათვის, მთელი მსოფლიოს მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციისათვის.

როცა მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი საკუთარ ხელში იღებს ძალაუფლებას, სულ უფრო ფართოვდება მისი შემოქმედებითი ძალები, ენერგია, მაღლა იწევს მეცნიერება, კულტურა. ამას მკაფიოდ მოწმობს ჩვენი სახელმწიფოს გამოცდილება. მაშ, ამხანაგებო, ვიმუშაოთ ძალების დაუშურებლად, რათა ჩვენი საბჭოთა სამშობლო ისევე მტკიცე რწმენით მიდიოდეს თავისი გზით სულ წინ და წინ კომუნიზმისაკენ! და თქვენ, კომკავშირელები, ახალგაზრდობა, თაოსნები უნდა იყოთ ამ საქმეში. **(მჟუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ᲫᲕᲐᲘᲡᲐ. (ჯავის რაიონი). ბოლო ხანებში ქვაისის სამადნო აუზში თავი ისახელა გამოჩენილი მაღაროელის ჩ. ბოგაევის კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელმაც სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები ორმაგი გადაჭარბებით შეასრულა. **ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** ჩ. ბოგაევი (მარცხნიდან პირველი) და მისი კომპლექსური ბრიგადის წევრები — მბურლავი ზ. ხუგაევი, გამკრეველი ი. ალბოროვი, მებიგე ა. ზასეევი მიდიან მაღაროში სამუშაოდ. ფოტო ვ. უბოფენკოსი.

გაჩდამავალი წითელი დროშა ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ამხ. დ. მამაცაშვილისა და რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. ჟორჟოლაძის სახელზე მოსკოვიდან გზათა მინისტრის ამხ. ნ. ბეშჩევისა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ე. ჩერედნიჩენკოს ხელმოწერით მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1956 წლის მესამე კვარტალში მოპოვებული შედეგების მიხედვით ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა კოლექტივს მიკუთვნებული აქვს სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

გზათა სამინისტრო და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა კოლექტივს ულოცავენ გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნებას და მოუწოდებენ კვლავაც შეინარჩუნონ მიღწეული წარმატებანი, დაუცხრომლად იმუშაონ შრომის მოწინავე მეთოდებისა და ტექნოლოგიის დანერგვისათვის, აქტიურად იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებისათვის, მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობისათვის ზამთრის პირობებში“.

სასურსათო საქონლის მრეწველობის გამარჯვებული კოლექტივი

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროში მიღებულია ცნობა, რომ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის პირველი პრემია და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივს (დირექტორი ამხ. გ. ქუთათელაძე).

საკდესის განცხადება

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში კმაყოფილებას გამოთქვამენ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობების განცხადებათა გამო იმის შესახებ, რომ მათ შეწყვიტეს საომარი მოქმედება ეგვიპტის წინააღმდეგ. ამ სახელმწიფოთა მთავრობების ასეთი გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ მათ ბოლოს ყურად იღეს კეთილგონიერების ხმა და დაუთმეს ხალხთა მოთხოვნებს, რომლებმაც მტკიცედ დაგმეს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ ორი-სამი დღის წინათ მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში ისეთი იყო, რომ საომარი მოქმედება ეგვიპტის წინააღმდეგ შეიძლებოდა გავრცელებულიყო სხვა რაიონებზეც. უგუნურმა პოლიტიკამ, რომელიც ნაკარნახევია ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის გარკვეული წრეების ვიწრო ინტერესებით, შექმნა მრისხანე მდგომარეობა, რომელსაც შეეძლო მძიმე შედეგები გამოეწვია ხალხებისათვის, მთელი მსოფლიოსათვის.

აღნიშნავენ რა როგორც დადებით ფაქტს ეგვიპტის წინააღმდეგ საომარი მოქმედების შეწყვეტას, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში გამოთქვამენ შიშს — იმ წრეების ეს ნაბიჯები, რომლებმაც აგრესიული ომი გაიჩაღეს ეგვიპტის წინააღმდეგ, ხომ არ არის მხოლოდ მანევრი, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოიგონ დრო, მიიღონ ამოსუნთქვის შესაძლებლობა ძალების უფრო მეტი დაგროვებისათვის იმ ვარაუდით, რომ განაახლონ აგრესიული ომი ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ უფრო მეტი მასშტაბით.

ყურადღების ასეთი გამახვილების საფუძველს წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა ის ფაქტი, რომ უკვე ინგლისს, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობების განცხადებათა შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებმა სასტიკად დაბომბეს პორტ-საიდი და ამ რაიონში გადასხეს ახალი დესანტები. ნგრევასა და მძიმე მატერიალურ ზარალს, აგრეთვე ადამიანთა მრავალრიცხოვან მსხვერპლს, რომლებიც ეგვიპტის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ბარბაროსულმა დაბომბვამ გამოიწვია, დაემატა ახალი ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი. გარდა ამისა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა ოფიციალური განცხადებებიდან ჩანს, რომ ისინი სხვადასხვა საბაბით უარს ამბობენ ამჟამად გამოიყვანონ თავიანთი ჯარები, რომლებიც ეგვიპტის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

ყოველივე ეს ავალებს ხალხებს იყონ ფრთხილად და ფხიზლად ადევნონ თვალყური აგრესორების ხრიკებს.

საბჭოთა კავშირის ხალხები ერთსულოვნად გმობენ ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიული ომის დამნაშავეებს და სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის მტკიცე ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის აღკვეთა.

საბჭოთა მთავრობის პოზიცია გამოხატულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის 5 ნოემბრის წერილებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი, ინგლისის პრემიერ-მინისტრ ა. იდენისადმი, საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გი მოლესა და ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენ ჰურიონისადმი, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის მიმართვაში უშიშროების საბჭოსადმი, და საბჭოთა კავშირი განმსჭვალულია გადაწყვეტილებით განახორციელოს განცხადებანი, რომლებსაც წერილები შეიცავენ, თუ აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ არ [illegible] გენერალური ასამბლეის [illegible] სპეციალური სესიის [illegible] შესაბამისად.

საბჭოთა ხალხი დიდად შეშფოთებულია მშვიდობის ბედით და კარგად აქვს წარმოდგენილი, თუ რას გამოიწვევდა საომარი კონფლიქტის გაფართოება, თუ არ აილაგმნენ აგრესორები ეგვიპტეში. იგი მტკიცედ გმობს ყოველ ცდას კვლავ დაადგან იარაღის ძალით ეგვიპტელ ხალხს კოლონიური ჩაგვრის უღელი.

ეგვიპტელი ხალხისადმი, ისე როგორც აღმოსავლეთის იმ სხვა ხალხებისადმი, რომლებიც თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან, საბჭოთა ადამიანების მხურვალე სიმპათიის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენენ მრავალი განცხადებანი საბჭოთა მოქალაქეებისა, რომელთა შორისაც არიან აბჟამად თადარიგში მყოფი დიდი რაოდენობის მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები, აგრეთვე დიდი სამამტელოს მონაწილე ოფიცრები, რომლებიც ითხოვენ — ნება დართონ გაემგზავრონ ეგვიპტეში როგორც მოხალისენი, რათა ეგვიპტელ ხალხთან ერთად იბრძოლონ ეგვიპტის მიწაწყლიდან აგრესორთა განდევნისათვის.

საბჭოთა კავშირი იყო და არის სახელმწიფოთა მეგობრობის, თანასწორუფლებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის თანმიმდევრული მომხრე, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. ასეთი პოლიტიკა გამომდინარეობს თვით საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებიდან, მისი დამაარსებლის — დიდი ლენინის ანდერძიდან. მაგრამ საბჭოთა ადამიანები არ იყვნენ და ვერ იქნებიან საერთაშორისო ძარცვის ბასიური მაყურებლები, როცა ესა თუ ის კოლონიური სახელმწიფოები ცდილობენ იარაღის ძალით დაიმონონ აღმოსავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც დამოუკიდებელნი გახდნენ.

ისინი თანაუგრძნობენ აგრეთვე იმ ხალხებს, რომლებიც ისწრაფვიან მოიშორონ სამარცხვინო კოლონიური უღელი და მოიპოვონ დამოუკიდებლობა. საბჭოთა ადამიანები ამიტომ ეგმობენ კოლონიურ ომს, რომელსაც იწევიან ალჟირის უიარაღო ხალხის წინააღმდეგ, სადაც უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ნაკადად იღვრება სისხლი. ათასობით და ათასობით ალჟირელი პატრიოტი, რომელთაც გაჰნიათ მოლოდ დაცვის პრიმიტიული საშუალებანი, თავდადებულ ბრძოლას აწარმოებენ თანამედროვე იარაღით აღჭურვილი კოლონიზატორების წინააღმდეგ, რომლებიც ახლა თავიანთ დანაშაულს ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ ფარავენ საფრანგეთის სოციალისტების დროშით.

სსრ კავშირის ხელმძღვანელ წრეებში განაცხადეს, რომ თუ ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგოდ თავიანთ ჯარებს არ გაიყვანენ ეგვიპტის ტერიტორიიდან და სხვადასხვა საბაბით გააჭიანურებენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებას და დააგროვებენ ძალებს, შექმნიან რა ეგვიპტის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გაგრძელების საფრთხეს, მაშინ საბჭოთა კავშირის შესაბამისი ორგანოები ხელს არ შეუშლიან საბჭოთა მოქალაქეების — მოხალისეების გამგზავრებას, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ ეგვიპტელი ხალხის ბრძოლაში მისი დამოუკიდებლობისათვის.

ნიუ-იორკს გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე

9 ნოემბერს მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაფრინდა საბჭოთა დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი. (საკდესი).

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის მოღვაწეთა ჯგუფი საბჭოთა კავშირში

25 ოქტომბრიდან 9 ნოემბრამდე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები დ. რ. კემპბელი, უ. ალექსანდერი, უ. უორმანი, ჰ. ლევი, ი. ჰეკეტი, ა. ლ. მორტონი, უ. მური და დ. ლოუ.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ჯგუფის წევრებმა გაიცნეს საბჭოთა შრომელების ცხოვრება და პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა.

მოსკოვსა და ლენინგრადში ინგლისელმა კომუნისტებმა დაათვალიერეს ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა, იყვნენ გაზეთ „პრავდის“ რედაქციასა და სტამბაში, საბჭოთა მეურნეობაში „ლესნიე პოლიანი“, ლენინგრადის ქარხანაში „ელექტროსილა“ და სხვა საწარმოებში. მათ ჰქონდათ საუბარი საქარხნო პარტიულ და პროფკავშირულ კომიტეტებში, დაესწრნენ პარტიულ და პროფკავშირულ კრებებს.

ჯგუფის წევრებს საუბარი ჰქონდათ აგრეთვე საკავშირო პროფსაბჭოში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში, ლენინგრადის საქალაქო საბჭოში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ქალაქ ლენინგრადის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში, ჟურნალების „კომუნისტის“ და „პარტიული ცხოვრების“ რედაქციებში, საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში, საბჭოთა ქალების კომიტეტში.

10 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის კომპარტიის მოღვაწენი სამშობლოში გაფრინდნენ. (საკდესი).

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ახალ მიღწევათა დათვალიერება

ამ დღეებში მარნეულის რაიონის ცენტრში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მშრომელები რაიონის ყოველი კუთხიდან ჩამოსულიყვნენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რათა საკუთარი თვალით ენახათ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შემოქმედებითი შრომის ნაყოფი.

მემცენარეობის პავილიონი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის წლევანდელ მაჩვენებლებზე მოგვითხრობს. მნახველები დიდხანს აკვირდებიან რაიონში ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობის — ხოფელ დიდი მუღანლოს ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. შაბანოვი) სტენდს. აქ წამყვანი დარგია თავთავიანი მარცვლეული კულტურები. წელს 800 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 24,4 ცენტნერი ხორბალი მოიყვანეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა. ბრიგადამ, რომელსაც ო. კახანოვი ხელმძღვანელობს, 90 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25,5 ცენტნერი ხორბალი მიიღო.

კოლმეურნეობაში 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 45 ცენტნერი სიმინდი მიიღეს (მარცვლად) და ამით მოსავლიანობის გეგმას 15 ცენტნერით გადაჭარბეს. დიდი წარმატებები აქვთ მეფრინველეობის დარგშიც. აქ 3.911 დედალი ჰყავთ. საშუალოთ თვითოეული მათგანიდან მიიღეს 90 კვერცხი. გეგმა კი 70 ცალს ითვალისწინებდა.

სოფელ თამარისის კოლმეურნეობა „გამარჯვებას“ (თავმჯდომარე ა. გოგინავა), რომელმაც წელს როგორც ხორბლისა და სიმინდის, ისე ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობის გეგმა გადამეტებით შეასრულა, გამოფენაზე გამოუტანია საკვები გოგრა. თვითეული ცალი 20 კილოგრამს იწონის.

სოფელ ყაჩაღანის კოლმეურნეობა „კომუნიზმში“ ჩინებულად მოუარეს 220 ჰექტარ თამბაქოს. შედეგიც კარგია. თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 17 ცენტნერი თამბაქო და ამით გათვალისწინებულ გეგმას 2 ცენტნერით გადაჭარბეს. მესამე ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი უ. ბაირამოვი ხელმძღვანელობს, 24,5 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღო 25 ცენტნერი თამბაქო. კოლმეურნეობაში კარგად მოუარეს ვენახსაც. 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 142 ცენტნერი ყურძენი, გეგმა კი 70 ცენტნერს ითვალისწინებდა.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი მეცხოველეობა. მეტი მნახველი სოფელ შაუმიანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. მოსესიანი) ეკსპონატებმა მიიზიდა. ამ კოლმეურნეობამ მეცხოველეობაში 1955-1956 სამეურნეო წელი მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრა. 170 ძროხიდან თვითეულ საფურაეე ძროხაზე მიიღო 1.378 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 კილოგრამისა. ყულარის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ა. ბერუჩაშვილი) წელს ისე მოაწყო მუშაობა, რომ 136 ძროხიდან თვითეულზე უზრუნველყო 2.223 კილოგრამი რძის მიღება გეგმით გათვალისწინებული 2.050 კილოგრამის ნაცვლად. საინტერესოა გიაურარხის საბჭოთა მეურნეობაში მოწინავე ფერმის მუშაკის ლენა კონგეევას მიღწევა. მან ერთ-ერთ ძროხაზე მიიღო 4.500 კილოგრამი რძე.



მეღორეობის პავილიონში ყურადღებას იპყრობს სოფელ მარნეულის კოლმეურნეობის მიღწევები. აქ მეღორეობის ფერმაში (გამგე ზოოტექნიკოსი ა. ბეჟანოვი) 800 სული ღორი ჰყავთ, მათ შორის 71 დედაღორია. თვითეულ დედაღორზე უკვე მიიღეს 15 გოჭი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12-ისა.

მნახველებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ამ კოლმეურნეობის მიერ კრასნოდარელ მეღორეთა გამოცდილების საფუძველზე მოწყობილმა ავტოსაკვებურებმა, ავტომატურმა სარწყულებლებმა და „ელექტრომწყემსმა“. ავტოსაკვებურებში ორ დღეში ერთხელ ყრიან მშრალ კომბინირებულ საკვებს, ღორს ეძლევა გოგრა, ჭარხალი. ღორები ავტომატური სარწყულებლებით სავსენ წყალს. კვება ნებისმიერია, პირუტყვი სურვილისამებრ ჭამს აგრეთვე კონცენტრირებულ და წვნიან საკვებს. აქ გასახუქებლად დაყენებული ყავთ 400 სული ღორი. კოლმეურნეობას გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელს ხახელმწიფოს ჩააბაროს სულ მცირე 300 ცენტნერი ღორის ხორცი.

გამოფენის ცენტრში მოთავსებული დიაგრამები მეტყველებენ მარნეულის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის წარმატებებზე. მნახველები გულდასმით ათვალიერებენ სხვადასხვა მარკის კომბაინებს, ტრაქტორებს.

გამოფენა გახსნის პირველ დღეს 5.000-ზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. აქ იყვნენ აგრეთვე მეზობელი რაიონებიდან — ბოლნისიდან, გარდაბნიდან, თეთრი წყაროდან.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

* * *

სურათებზე: ქვემოთ — სოფელ ყაჩაღანის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი უ. ბაირამოვი (მარცხნივ) გამოფენის მნახველებს ესაუბრება, თუ როგორ მოიყვანა თამბაქოს უხვი მოსავალი; ზემოთ — სოფელ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიერ მეღორეობის პავილიონში წარმოდგენილი ავტოსაკვებური.

ფოტო შ. იაშვილისა.

★

საგარეჯოს რაიონმა ყურძნის დამზადების გეგმა შეასრულა

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობამ 30 ოქტომბერს ვალდებულებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 300 ტონა ყურძენი.

(საქდისი).

გორის რაიონმა შეასრულა ხილის დამზადების გეგმა

გორის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 5 ნოემბრისათვის შეასრულეს თესლოვანი და კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 82.600 ცენტნერის ნაცვლად ჩაბარებულია 83 ათასი ცენტნერი თესლოვანი და კურკოვანი ხილი.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს კიდევ ჩააბარონ ხუთი ათასი ცენტნერი ხილი. (საქდისი).

ლაგოდეხის რაიონმა შეასრულა ხილის, ყურძნის, გერანისა და რეჰანის ჩაბარების გეგმები

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 30 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხილის, ყურძნის, გერანისა და რეჰანის დამზადების გეგმები.

სახელმწიფოსათვის ხილის, ყურძნის, გერანისა და რეჰანის ჩაბარება გრძელდება.

(საქდისი).

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ზესტაფონი. (საკ. კორ.) ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანადღა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრი ვალდებულებები და გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათობით ტონა მაღალხარისხოვანი ფეროშენადნობები.

სადნობმა საამქრომ, რომელსაც მ. რაზმაძე ხელმძღვანელობს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები 104,2 პროცენტით გაანადა, № 2 საამქროს კოლექტივმა — 103 პროცენტით. ქარხანაში არ არის ისეთი მუშა, რომელსაც ნაკისრი ვალდებულება არ შეესრულებინოს. ზესტაფონელი მეტალურგები განაგრძობენ შეჯიბრებას მეოთხე კვარტალის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად.

მექანიზაციორთა წარმატება

ასრულებდნენ რა მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ულიანოვკის მტს-ის მექანიზატორებმა 31 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა წლიური დავალება. გეგმის გადამეტებით დამუშავებულია 1.880 ჰექტარი.

ულიანოვკელმა მექანიზატორებმა მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში საშემოდგომოდ დათესეს 8.383 ჰექტარი. ამ ფართობზე თესვა მთლიანად ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად ჩატარდა. თესვაში თავი გამოიჩინეს მტს-ის მეორე, მესამე და მეოთხე სატრაქტორო ბრიგადებმა (ხელმძღვანელები ი. ბეგაშვილი, მ. კუდინოვი და ი. ბაიდოშვილი). ტრაქტორისტებმა ი. ბეჟაშვილმა, ი. განჯაფარაშვილმა, ს. არიშინმა, ა. ყანდაშვილმა თესვის დავალება 150-180 პროცენტით გაანადღეს.

წარმატებით მიმდინარეობს მზრალად ხვნა.

დამახინჯებანი ფოთის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში

გაზეთ „კომუნისტის“ რეიდი

უკანასკნელ ხანებში ფოთივაჭრობის, სამხედრო ვაჭრობის განყოფილებისა და საგარეუბნო რაიკოოპერატივის ქსელს ათობით ახალი ობიექტი შეემატა. მარტო ფოთივაჭრობის ხაზით გაიხსნა მუშათა ორი სასადილო, ორი სპეციალიზებული მაღაზია, ხილ-ბოსტნეულის პავილიონი, უგამყიდველო მაღაზია, სამკერვალო ატელიე. რეკონსტრუქციის შემდეგ მწყობრში ჩადგა ავეჯის ცენტრალური მაღაზია და რესტორანი „კოლხიდა“.

ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციები ცუდად როდი ასრულებენ საქონელბრუნვის გეგმებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათს მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლია. ხშირია ფასების დამახინჯებისა და მომხმარებელთა მოტყუების შემთხვევები.

ფოთივაჭრობის № 76 სასურსათო მაღაზიაში (გამგე ბ. თოლორდავა, გამყიდველი ბ. ქაჯაია) პირველი ხარისხის ფქვილიდან დამზადებული ნამცხვარი „იუჟნი“, რომლის ღირებულება 10 მანეთი და 10 კაპიკია, და „სლივოჩნი“, რომელიც 14,5 მანეთი ღირს, ერთმანეთში იყო არეული და უმაღლეს ფასში იყიდებოდა. აქვე ჰქონდათ სამი სახის ძეხვეული 16,5, 22 და 24 მანეთი ღირებულებისა. ფასი კი გამოცხადებული იყო მხოლოდ ორი სახის — 16,5 და 24 მანეთიან ძეხვეულზე.

ფასებს ამახინჯებენ რკინა-ქაფეულის № 84 მაღაზიაშიც. შემოწმების დღეს გამყიდველმა ი. აჯიაშვილმა 100-მილიმეტრიანი კარის ჩასაღილავი, რომელიც 3 მანეთი და 65 კაპიკი ღირს, სოფელ ჭალადიდის მცხოვრებ ე. ზარქუას 7 მანეთად და 30 კაპიკად მიჰყიდა.

მომხმარებლებთან არაგულისხმიერი მოპყრობისა და ზოგიერთ საქონელზე ფასების აღუნიშვნელობის ფაქტებს წავაწყდით მაღაზიაშიც, სადაც გამგედ ი. აჯიაშვილი და გამყიდველად ი. ნასლეტაშვილი მუშაობენ. ზოგიერთ საქონელზე გადაფასების შემდეგ კვლავ ძველი ფასები იყო აღნიშნული.

გაცილებით უფრო დიდი ნაკლოვანებებია სოფლის სავაჭრო ქსელის მუშაობაში. ცეკავშირის საგარეუბნო რაიკოოპერატივი (თავმჯდომარე ა. ურთმელიძე) ნაკლებ ყურადღებას აქცევს სოფლად ვაჭრობას, თუმცა ამ ორგანიზაციის ძირითად მოვალეობას სწორედ სოფლის მშრომელების მომსახურება შეადგენს. მაგრამ მას ქალაქშიც ბევრი სავაჭრო ობიექტი აქვს და სოფლისათვის არ სცალია. მთავარი სოფლების — ჭალადიდის და პატარა ფოთის მაღაზიებისა და სასადილოს შემოწმებით დადასტურდა, რომ სოფლის მოსახლეობა სისტემატურად არ მარაგდება ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლით. მაღაზიებში არა აქვთ დაფასოებული მარილი, მსკარონი, შაქარი, პურის ფქვილი, კარაქი, ბურღული, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღები: ცელი, ნამგალი, ბარი და სხვ.

რაიკოოპერატივის პროდუქტების საკომისიო ფარდულში, რომელიც ქალაქში საკოლმეურნეო ვაჭრობის ბაზრის ტერიტორიაზეა მოთავსებული (გამგე გ. ხითაროვი), იყიდებოდა 75-პროცენტიანი პურის ფქვილი, მაგრამ გამყიდველს არ ჰქონდა ფქვილის შესყიდვის ცნობა. იგი არც რაიკოოპერატივის გამგეობაში აღმოჩნდა. როგორც ამბობენ, ფქვილი როსტოვიდან ჩამოუტანიათ, მაგრამ შემსყიდველს ჯერაც არ წარმოუდგენია საბუთები.

შემსყიდველი კვლავ მივლინებაშია წასული პროდუქტების შესაძენად, საბუთები კი მასთან ინახებაო, განაცხადა ბუხჰალტერმა ე. აჯიაშვილმა.

საგარეუბნო კოოპერატივის № 1 მაღაზიაში (გამგე ო. იზრაელაშვილი), რომელიც ქალაქშია გახსნილი, სამრეწველო საქონელი გადიდებულ ფასებში იყიდება. მაგალითად, ტაპელის ტილოს ყიდდნენ გადაფასებამდე არსებულ ფასებში. ტრიკო-შტაპელზე გამოკრული იყო ძველი ფასი — 40 მანეთი, მაშინ როცა იგი 33 მანეთი ღირს.

სასოფლო მაღაზიებში ხშირად უხარისხო პროდუქტები შემოაქვთ. მაგალითად, № 8 მაღაზიაში (გამგე ნ. ჩხარტიშვილი) გასაყიდად გამოტანილი ჰქონდათ დაბალი ხარისხის ნიგოზი, ხახვი და სხვ.

ცუდად ამარაგებენ სოფლის მაღაზიებს გამომცხვარი პურით. სოფელ ჭალადიდის მაღაზიაში 27 სექტემბერს პური არ იყიდებოდა, მაშინ როცა ჭალადიდის საცხობი სავსე იყო პურით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პურის ხარისხი სრულიად არადამაკმაყოფილებელია. საცხობში (გამგე დ. ფაცია) ელემენტარულ სანიტარულ პირობებს არ იცავენ. პუროკომბინატის დირექცია ცუდად იცნობს საცხობებში არსებულ მდგომარეობას, სათანადო კონტროლს არ უწევს მათს მუშაობას. ამიტომ არის, რომ დაბალი ხარისხის პური ზოგჯერ ქალაქის სავაჭრო ქსელშიც გამოაქვთ.

საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ცალკეულ ფაქტებს ვხვდებით აგრეთვე სამხედრო ვაჭრობის ფოთის განყოფილების ქსელში (დირექტორი გ. ქვარცხავა).

სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები იმსზე მეტყველებენ, რომ სარევიზიო-საკონტროლო ჯგუფები ჯერ კიდევ სუსტად ახორციელებენ კონტროლს, ხოლო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მილიციისა და პროკურატურის მუშაკები არ იღებენ საჭირო ზომებს საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ, ვაჭრობაში სრული წესრიგის დაცვისათვის. ფოთის პარტიულმა ორგანიზაციამ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სავაჭრო ქსელის მუშაობას, ენერგიულად იბრძოლონ საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

ნ. ფოკინავა, ვ. გოგბერიძე, ქალაქის ვაჭრობის განყოფილების ინსპექტორები, **ი. წურწუმია,** გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქტორი, **კ. კოკვასიძე,** „მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქტორის მოადგილე, **გ. ნოდია,** „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ლიტერატურა და ხელოვნება

როგორ ხდება კინოფირის დამუშავება

ყოველ კინოსურათს ჩვენებისას უძღვის წარწერები, რომლებზეც აღნიშნულია ფილმის ავტორებისა და მოქმედ პირთა გვარები. ამის საშუალებით მაყურებელი ეცნობა, თუ რომელი შემოქმედებითი კინოჯგუფის მიერ არის შექმნილი იგი.

მაგრამ იმისათვის, რომ კინოსურათი მაყურებლამდე მივიდეს, მარტო სურათის ფირზე გადაღება არ არის საკმარისი. გადაღების შემდეგ საჭიროა ფირის მთელი რიგი რთული პროცესების მიხედვით დამუშავება.

...შევდივართ სამსართულიან შენობაში. ეს თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოფირის დასამუშავებელი საამქროა. აი აქ ხდება როგორც შავთეთრი, ისე ფერადი ფირის დამუშავება, აქვე წარმოებს ფირზე ჩაწერილი ხმის გამყლავნებაც.

დავიწყოთ სულ თავიდან, იმ პროცესიდან, როდესაც ოპერატორის მიერ გადაღებული ნეგატივი გადაეცემა ეგრეთწოდებულ გასამყლავნებელ განყოფილებას.

ოთახში აბსოლუტური სიბნელეა. ნახევრად ავტომატურ მანქანებზე ხდება ნეგატივის გამყლავნება, გარეცხვა. შემდეგ იგი გადადის უკვე ნათელ ოთახში. აქ გამყლავნებული ნეგატივი კვლავ ფოტოქიმიურ ხსნარებში მუშავდება, ირეცხება, შრება.

— აქედან, — გვიხსნის ფირის დასამუშავებელი საამქროს უფროსი ბ. წივწივაძე, — მიღებული ნეგატივი მიაქვთ ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში, სადაც ხდება მისი ფოტოტექნიკური მზადყოფნის შემოწმება.

გავუვეთ უკვე დასაბეჭდად გამზადებულ ნეგატივს, რომელიც შეაქვთ სინთეზის დამყენებელ ოსტატთან. მაგიდაზე ოსტატი გამადიდებელი შუშის საშუალებით სინჯავს გამოსახულების ნეგატივს და პასპორტის ფურცელზე ინიშნავს, თუ რა რაოდენობით ესაჭიროება სინთეზი ამა თუ იმ გამოსახულებას ბუნებრივი სახის მისაღებად.

ამ ჩანაწერების საშუალებით იქვე პასპორტის მბეჭდავი ადგენს პასპორტს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გარკვეულ სწორკუთხოვან ჭრილებს, რომლებსაც ნეგატივთან ერთად უყენებენ ასლგადამღებ მანქანაში. ამ მანქანაზე ავტომატურად ხდება ნეგატივიდან პოზიტივის ბეჭდვა.

— ამჟამად რომელი ფილმის პოზიტივს ბეჭდავთ? — შევეკითხეთ თეთრხალათიან მბეჭდავ ქალს.

— რევაზ ჩხეიძის ფილმის „ჩვენი ეზოს“ ერთ-ერთ ეპიზოდს, — გვიპასუხა მან.

— ამით უკვე მთავრდება ფილმის ფირის დამუშავება?

— ასლგადამღებ მანქანაზე დაბეჭდილი პოზიტიური გამოსახულება, — გვიპასუხებს ბ. წივწივაძე, — კვლავ რთულ პროცესებს გადის. მას ამყლავნებენ, რეცხავენ, აშრობენ, ამოწმებენ და ა. შ. საბოლოოდ გადასცემენ პოზიტივის სამონტაჟო განყოფილებას, სადაც მას უკეთებენ გამჭვირვალე ფირის ბოლოებს საპროექციო აპარატში გასაშვებად. შემდეგ უკვე მიღებული პოზიტივის გასინჯვა ხდება ეკრანზე.

ეს იყო შავთეთრი ფირის დამუშავება. იგივე სჭირდება ფერად ფირსაც; მაგრამ აქ ტექნოლოგიური პროცესები უფრო რთულია, თანაც ხანგრძლივი. განსხვავებულია ფოტოქიმიური ხსნარების შემადგენლობაც. თუ შავთეთრი ფირის გავლებას ესაჭიროება 1 საათი, ფერადი ფირისათვის დრო უფრო ხანგრძლივია, დაახლოებით 2-3 საათი.

ასევე უფრო რთულია და დიდ მხატვრულ გემოვნებას მოითხოვს ფერადი ფირისათვის პასპორტის შედგენა. ამაზე საამქროში მუშაობს ბევრი ნიჭიერი ოსტატი. ესენია ხ. ფალავანდიშვილი, ლ. ფერაძე და სხვები. რაც უფრო ოსტატურად გადაიღებს სურათს ოპერატორი, მით უფრო ბუნებრივი გამოდის კინოფირზე ფერები.

თბილისის კინოსტუდიის ფერად ფირდასამუშავებელი საამქრო ერთადერთია მთელ ამიერკავკასიაში. ამიტომ იგი, თბილისის კინოსტუდიის გარდა, მომსახურებას უწევს აზერბაიჯანის, სომხეთის, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის კინოსტუდიებს. ამჟამად აქ ამუშავებენ ორჯონიკიძის კინოსტუდიის კინონარკვევს „ცეის ხეობაში“, ბაქოს კინოსტუდიის სამ კინონარკვევს „წარსულის მოწმენი“, „პიონერი“, „აზერბაიჯანის პავილიონი“, ერევნის კინოსტუდიის მხატვრულ ფილმებს „ავაზის ხეობაში“ და „გული მღერის“.

თბილისის კინოსტუდიის კინოსურათებიდან საამქროში მუშავდება ფერადი ფილმები: „ბაში-აჩუკი“, „აბეზარა“, „სიცოცხლის სათავეებთან“.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათებზე: ზევით — ფერადი ფირის გასამყლავნებელ განყოფილებაში მუშები (მარცხნიდან მარჯვნივ) ა. ნუნუნიკოვი, გ. ხუტიაშვილი და მ. ჯანშიაშვილი ამოწმებენ ნეგატივს. ქვევით — მუშა ნ. სარქისოვა ასლგადამღებ მანქანასთან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხელები შორს ეგვიპტისაგან!

ხმა ავიმაღლოთ!
ვერაგულად ფლეთენ ეგვიპტეს,
არაბთა სისხლით იღებება ნილოსის წყალი.
კაცობრიობა
გულმართალთა ბოლმას ვერ იტევს,
კაცი კი არა, ბარბაროსზე ქვაც არის მწყრალი.

გემთა ქარავნებს
ატარებდა მშვიდად სუეცი,
ასი ათასი ეგვიპტელის ძვლებზე ნაშენი.
ავაზაკებმ
თავს დაესხნენ ჩუმად, უეცრივ,
ფელახთა მამულს ახანძრებენ ბომბის დაშენით.

ჭკნება ლოტოსი
საამშობლოში მზის დაბინდებით,
აფრიკის ქარი თავს დაზუის მხარეს დანარბევს.
— გვიხსენით, ძმებო! —
ლაღადებენ პირამიდები,
ქვიშაც შველას სთხოვს გაღვიძებულ მამაც არაბებს.

არა, არ დათმოთ
ღვიძლი მიწის ერთი მისხალიც,
კმარა, რაც იყო ბრიტანული ლომის ნატორი.
ძველი დროიდან
ვაუკაცურად აბჯარს ისხამდით,
ხმალს შეეზარდეთ, როგორც ბრძოლას გლადიატორი.

გულით გინდოდათ
აყვავება მწირ, უდაბნოთა,
სად აქლემები სამუმის წინ გზებზე ბღავიან.
თავისუფალი
სინაელი შვებით ამბობდა:
— ჩემი ქვეყანა ახლა სულ სხვა სანახავია!

იღვრება სისხლი,
იცხრილება ტყვიით ეგვიპტე,
მშვიდობის მტრებმა სამართალი ძალით შელახეს.
ომის სვავებო,
დედამიწა რისხვით შეგიტევთ.
შეწყვიტეთ ცეცხლი, ხელს ნუ ახლებთ მართალ ფელახებს.

ვარლამ ჟურული

ახალი წიგნები

კ. გამსახურდია — ვაზის ყვავილობა. პროლოგიანი და ეპილოგიანი რომანი. სახელგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 659, ფასი 14 მან.

ვ. დარასელი — რჩეული. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 8.000, გვ. 203, ფასი 7 მან. 10 კაპ.

თ. დონაშვილი — ალაზანზე. რომანი. სახელგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 7.000, გვ. 553, ფასი 11 მან.

გ. ქიქოძე — მოგონებები განთიადიდან შუადღემდე. სიტყვები და წერილები. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი 1956 წელი. ტირაჟი 8.000, გვ. 357, ფასი 6 მან. 30 კაპ.

რ. ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი. რომანი. წიგნი I. სახელგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 427, ფასი 9 მან.

კარგი სანერგე მეურნეობა მეხილეობის განვითარების საფუძველია

მეხილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. ქართლის, მესხეთის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ვაშლი და მსხალი, გორული ატამი, კახური და იმერული ლეღვი, აფხაზური შავქლიავა და სხვა რაიონების ხილეული თავისი მაღალხარისხოვანი პროდუქციით ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თითქმის 4-ჯერ გაიზარდა ხეხილის ბაღების ფართობები, სამრეწველო ბაღებისა კი — 10-ჯერ და უფრო მეტად. გაუმჯობესდა ხეხილის ჯიშობრივი შემადგენლობა. სანერგეებში სარგავი მასალის გამოყენება და ახალი ბაღების გაშენება ხდება მხოლოდ შემოწმებული, უხვმსხმოიარე მაღალი სამეურნეო ნიშანთვისებების მქონე ჯიშებით.

საქართველოში ფართოდ ცნობილია ვაშლის ძვირფასი ჯიშები — ქართული სინაბი, თურაშაული, კეხურა, ყინული, ლაგოდეხის რენეტი, მამულო, რკინა-ვაშლა, აბილაური, მსუქანა, რაჭული, შაქარ-ნაბადა, ყვითელი ბელფლორი, კანადური რენეტი, ზამთრის ოქროს პარმენი, შამპანური რენეტი, როზმარინი, კანდილ-სინაპი და სხვ. მდიდარია მსხლის ჯიშების შემადგენლობაც. მაღალი შეფასებით სარგებლობს ქართლის გულაბი, ხეშეჭური. მილახურის მსხალი, გვერდწითელა, ალოს მსხალი, ნანაზირი, სასელო, მესხეთური გულაბი, სამსრიობო, სოხუმის დუშესი, კაცისთავა, ბერე-ბოსკი, ვილიამსი, ზამთრის დეხანი, ბერეარდანპონი, სენ-ჟერმენი, პას-კრასანი, მეხელნსის ჟოზეფინა და სხვ. მდიდარია საქართველო ატმის ძვირფასი ჯიშებითაც. ასეთებია: ხიდისთაური ვარდისფერი, გორული საადრეო, ნობათი, ხიდისთაური ყვითელი საგვიანო, ბესტავაშვილი, წედისური, კეზევაძე, გაზაური, კახური თეთრი ატამი, ელბერტი და სხვ., ქლიავებიდან ყურადღებას იპყრობს ჭანჭური, ოოლონშო, ქუთაისური ტყემლები, ალიბუხარი, ალტანის რენკლოდი, მწვანე რენკლოდი, ატმისებური, იტალიური უნგრულა, ეკატერინე და სხვ.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ვიზრუნოთ ძვირფასი ჯიშების გამოვლენებისათვის, საუკეთესო და ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ახალი ჯიშების გამოყენისა და მათი ფართოდ დანერგვისათვის. ახალი ბაღები უნდა გავაშენოთ მხოლოდ შემოწმებული, მაღალი სამეურნეო ნიშანთვისებების სამრეწველო ჯიშებით, როგორც მეხილეობის რაიონებში, ისე მთიან ზონებში.

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია ახალი ბაღების გაშენება 17.000 ჰექტარზე. კოლმეურნეობებში ხეხილის ბაღების გაშენება იწარმოებს მსხვილ მასივებად და ძირითადად მეხილეობის წამყვან რაიონებში. მაგალითად, გორის რაიონში ბაღები უნდა გაშენდეს 1.950 ჰექტარზე, ხაშურის — 840, კასპის — 650, ქარელის — 1.450, ახალციხის რაიონში — 410, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 900 ჰექტარზე.

„ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებით პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაევალათ უზრუნველყონ ბაღების, საკენკრეებისა და ვენახების ფართობების მნიშვნელოვანი გადიდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გაუმჯობესონ მათი მოვლა, აგრეთვე უზრუნველყონ ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, ნარგავთა რემონტი, ვენახების შესარგა და მორწყვა, რათა უახლოეს წლებში ხილის, კენკრისა და ყურძნის საერთო მოსავალი სულ ცოტა 1,5-2-ჯერ გადიდდეს.

ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიჩურინი წერდა: „მებაღეობის განვითარება წარმოუდგენელია სანიმუშოდ მოწყობილი სამრეწველო სანერგეების ფართო ქსელის გარეშე“.

სანერგე მეურნეობის ამოცანაა მაღალხარისხოვანი სარგავი მასალის გამრავლება, მისი პირველადი გაზრდა-ფორმირება და ბაღში დადასარგავად მომზადება. უფრო მეტიც: მებაღეობაში უხვი და მყარი მოსავლიანობის პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა სანერგეებში ჯანსაღი და რაიონებისათვის შერჩეული მაღალხარისხოვანი, შემოწმებული სარგავი მასალის გამოყენა ახალი ბაღების გასაშენებლად.

ხეხილის სანერგეებიდან გაცემული სარგავი მასალის ჯიშობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა ძირითადად განსაზღვრავს ჩვენი რესპუბლიკის მეხილეობის სახეს ათეული წლების მანძილზე. აი რაში გამოიხატება ის დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობა, რაც სანერგე მეურნეობებს აკისრიათ. სანერგე მეურნეობების მუშაკთა პასუხსაგები და საპატიო ამოცანაა დაიცვან გამოსაყვანი ნერგების ჯიშობრივი შემადგენლობის სიწმინდე, სარგავი მასალის ხარისხი, ნერგების წესიერი ფორმირება და მომზადება მუდმივ ადგილზე დასარგავად.

ცნობილია, რომ მეხილეობაში ჯიში წყვეტს საქმის წარმატებას. ამიტომაც ჯიშობრივი სიწმინდის დაცვა მეურნეობის მუშაკთა ღვიძლი საქმეა. ხეხილი მრავალწლიანი კულტურაა და დარგვიდან მსხმოიარობაში შესვლამდე ზოგჯერ 8-10 წელზე მეტ დროს მოითხოვს. ამიტომ ხეხილის გასაშენებლად კარგი ჯიშების შერჩევას თავიდანვე სერიოზულად უნდა მივეკიდოთ. ეს მტკიცედ უნდა გაითვალისწინონ მეხილეობის რაიონების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა. მათ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ საქმის ვითარება და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საუკეთესო ჯიშების ხეხილის გავრცელებას.

ამჟამად საქართველოში ხეხილის 13 სახელმწიფო სანერგეა, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა ზონებში მდებარეობენ. ამას გარდა რესპუბლიკაში არსებობს რამდენიმე საკოლმეურნეო სანერგე.

ხეხილის სახელმწიფო სანერგეებს 1.000 ჰექტარამდე ფართობი უჭირავს. მარტო ხეხილის სახელმწიფო სანერგეები ყოველწლიურად უშვებენ ერთ მილიონზე მეტ ნერგს, 700 ათასამდე ძირ ნამყენ ვაზს.

ხეხილისა და ვაზის სარგავ მასალაზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო შეიქმნა სანერგე მეურნეობების ბაზის გადიდება 500-600 ჰექტარით, რაც უახლოეს დროში განხორციელდება.

ხეხილის მოწინავე სახელმწიფო სანერგეებმა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს, ისინი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი გახდნენ. მაგალითად, ბებნისის, გორის, სტალინირის, სოხუმის, აგრეთვე თბილისის სანერგე მეურნეობებმა გაზარდეს ნერგების გამოსავლიანობა, ჰექტარზე იღებენ 20 ათას ცალამდე ნერგს, ამასთან გაუმჯობესეს გასაცემი ნერგების ხარისხი.

სამწუხაროდ, ხეხილის ზოგიერთ სახელმწიფო სანერგესა და საკოლმეურნეო სანერგეებზე ეს არ ითქმის. ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ წნორის, ქუთაისის, ზესტაფონის და ბათუმის სახელმწიფო სანერგეები. ამ სანერგეებში ნერგების გამოსავლიანობა დაბალია, საშუალოდ ჰექტარზე 9-12 ათას ცალს არ აღემატება, სარგავი მასალის ხარისხიც არასახარბიელოა. ზესტაფონის რაიონის ზოგიერთი აგრონომი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ არის დაუფლებული ნერგის გამოყვანის აგროტექნიკას. ვხვდებით ოკულანტების დაზიანებას საძირეების უდროოდ ცერზე გადაჭრის გამო.

ზოგიერთ სანერგეში (წნორი, ბათუმი) ჯერ კიდევ ვხვდებით ჯიშების დასარევლიანებას, ნაწილობრივ არადარაიონებული ნერგის გამოყვანის პრაქტიკას. უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, როცა ერთი ჯიშის სახელწოდებით სანერგიდან წაღებული ნერგი სხვა ჯიშისა გამომდგარა. სპეციალისტებმა მსგავსი რამ არ უნდა დაუშვან.

არის ფაქტები, როცა ხეხილის სანერგეში წესიერად არ ეწყობა ნერგების ვარჯის ფორმირება, არ აწარმოებენ გამაგრძელებელი (ცენტრალური) ტოტის აკვრას ცერზე, კმაყოფილდებიან მხოლოდ ერთწლიანი ნერგების შტამბზე გადაჭრით, არ ატარებენ მწვანე ოპერაციებს, არ ახდენენ ვარჯის ტოტების შერჩევას და მათი ზრდის რეგულირებას. ამის შედეგად ორწლიანი ნამყენების ხარისხი დაბალია.

ამ ბოლო ხანებში მოწინავე მეხილეობის წარმოებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხეხილის ნარგავების შემჭიდროების საკითხს — ჯუჯა (ქონდარა) და ბუჩქოვანი ადრემსხმოიარე ხეხილის გამორგვით. ამისათვის საჭიროა ფართოდ მოეწყოს ხეხილის სანერგეებში ვაშლის ნამყენების — საქართველოს პარადისის (ხომანდულის) საძირეზე, მსხლის — კომშის საძირეზე და სხვ. ნერგების გამოყვანა. ბებნისისა და სტალინირის სანერგე მეურნეობების გარდა დანარჩენ ხეხილის სახელმწიფო სანერგეშიც უნდა მოეწყოს ჯუჯა საძირეთა სადედე იმ ზომისა, რომ ყოველწლიურად მივიღოთ რესპუბლიკაში ჯუჯა ვაშლისა და მსხლის 100 ათასი ცალი ნერგი მაინც. ასევე უნდა გაფართოვდეს კენკროვანი ნერგების გამოყვანა.

ნაკლია ის, რომ ხეხილის სახელმწიფო სანერგეებში ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი მაღალმთიანი რაიონებისათვის შერჩეული ზაფხულ-შემოდგომის სიმწიფის, ყინვაგამძლე ხეხილის ჯიშების სარგავი მასალის საკმაო რაოდენობით გამოყვანა. ბიზანშეწონილია ბებნისისა და სტალინირის სანერგე მეურნეობებში გაფართოვდეს ამ ნერგების წარმოება.

მტკივნეული საკითხია ის, რომ სანერგე მეურნეობების მეტი წარმადობით მუშაობას ხელს უშლის ზოგიერთი მათგანის ტერიტორიის მოუწყობლობა და თესლბრუნვის შემოუღებლობა. ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა გასაწევი ზუგდიდის, ზესტაფონის, ცხაკაიის სანერგეებში.

სანერგეებში წესიერი თესლბრუნვის შემოღება აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს. უამისოდ შეფერხდება მაღალხარისხოვანი და ჯანსაღი ნერგების გამოყვანა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ხეხილთესლსანერგის“ რესპუბლიკურმა კანტორამ მეტი ქმედითი ზომები უნდა მიიღოს სანერგე მეურნეობებში სრული წესრიგის დასამყარებლად. მეურნეობათა ხელმძღვანელებს მართებთ პასუხისმგებლობით მოეკიდონ ჯიშობრივად წმინდა, დარაიონებული და მაღალხარისხოვანი ნერგების გამოყვანისა და რეალიზაციის საქმეს. ამისათვის მათ შექმნილი აქვთ მუშაობის ყველა პირობა. საჭიროა ყველა შესაძლებლობის, რეზერვების სრულად გამოყენება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სანერგე მეურნეობათა მუშაობას. კარგი სანერგე მეურნეობა მეხილეობის განვითარების საფუძველია.

ალ. ბუჩუკური,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეხილეობის დარგის უფროსი აგრონომი-ინსპექტორი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის სხდომა

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის დღევანდელ დილის სხდომაზე ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის შესახებ პირველი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ვერ შეურიგდებიან" მეამბოხეთა დამარცხებას, რომელთაც ისინი მეურვეობენ. მისი სიტყვა იყო ახალი, კიდევ უფრო აშკარა წაქეზება ფაშისტური ელემენტებისა რბევისადმი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. იგი აღტაცებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ცეცხლს უკიდებენ კომუნისტური პარტიების შენობებს. ამავე დროს მან ბრაალად დასდო რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობას, თითქოს ეს მთავრობა ხელს უშლიდეს უნგრეთისათვის „დახმარების გაწევას". მან ოფიციალურად შეიტანა რეზოლუციის ახალი პროექტი „უნგრეთისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარების გაწევის" შესახებ.

პაკისტანის დელეგატის მოკლე გამოსვლის შემდეგ რეზოლუციის პროექტის მხარდასაჭერად, რომლის ერთ-ერთი თანაავტორი იგი არის, სიტყვა მიეცა სსრ კავშირის წარმომადგენელს ვ. ვ. კუზნეცოვს.

გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე წინა გამოსვლებში სსრ კავშირის დელეგაციამ, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, უკვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრეთში ეგრეთწოდებული მდგომარეობის საკითხი გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგში შეტანილიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით. უნგრეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიხილონ ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხი, მიიჩნია რა ეს უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ გაუწია ანგარიში არ გაუწიოს ამას.

ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის განხილვისას, როგორც ახლა ჩანს, ისახავენ ისეთ მიზნებს, რომელსაც საერთო არაფერი აქვთ უნგრელი ხალხის ინტერესებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებთან. ის, რაც მოხდა და ხდება ასამბლეის ამ სხდომებზე უნგრეთის ამბებთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნას აქ იყენებენ იმ მიზნით, რომ წაქეზონ რეაქციული ფაშისტური ჯგუფები—მოაწყონ რბევა უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ, დარაზმონ რეაქციული ძალები, რომელნიც ჯერ კიდევ ოცნებობენ უნგრეთში ძველი მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების აღდგენაზე. დასავლეთის სახელმწიფოებმა ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხი შეიტანეს აგრეთვე იმისათვის, რომ საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ იმ შეიარაღებულ აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელიც მათ მოაწყეს. ამ საძრახის მუშაობას, რომელიც აღნიშნულმა დელეგაციებმა იკისრეს, თან ახლავს, როგორც მოსალოდნელიც იყო, სხვადასხვა მონაჭორი და ბინძური გამოხდომები საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, ყველა იმ ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც სახალხო-დემოკრატიული წყობილებაა. ამ გამოსვლების პოლიტიკური მიზანი სავსებით ნათელია. იგი არც ორიგინალურია და არც ახალი როგორც უნგრეთის მიმართ, ისე საბჭოთა წყობილების მიმართ. საბჭოთა კავშირის დამხობისაკენ მისი მტრების მოწოდებანი აი უკვე 39 წელია გვესმის.

უნგრეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის გარკვეულ წრეებს ხელი არ აუღიათ უნგრეთში მემამულურ-კაპიტალისტური წესწყობილების აღორძინების თავიანთ გეგმებზე. მიმართავდნენ სულ სხვადასხვა საშუალებებს: აწყობდნენ უნგრეთში ანტიხალხურ შეთქმულებებს არსებული წესწყობილების დასამხობად; ქმნიდნენ უნგრეთის ტერიტორიაზე ჯაშუშთა, დივერსანტთა, მესაბოტაჟეთა ჯგუფებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკისათვის ძირის გამოსთხრელად; მხარს უჭერდნენ უნგრელთა რეაქციულ ემიგრანტულ ორგანიზაციებს და ქმნიდნენ დასავლეთში გაქცეული უნგრელი ფაშისტებისაგან შეიარაღებულ ჯგუფებს; ახორციელებდნენ დისკრიმინაციას საჰაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაში; ეწეოდნენ ცილისმწამებლურ პროპაგანდას უნგრეთის სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ და სხვ. უნგრელი ხალხისადმი ისეთი მტრული ორგანიზაციები, რომელსაც, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები ინახავენ, არიან: „ამერიკას უნგრელთა კავშირი", „უნგრეთის ეროვნული კომიტეტი", „უნგრელ მებრძოლთა თანამეგობრობა" და სხვები. ამ ორგანიზაციებს სათავეში უდგანან თავგამოდებული რეაქციონერები და უნგრელი ხალხის მტრები.

მაგრამ მთელი ეს ცდები იფუშებოდა. უნგრელი ხალხი მტკიცედ მიდიოდა და მიდის წინ დემოკრატიული განვითარების გზით.

უნგრეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში რეაქციული წრეების სიძულვილის იწვევენ. ეს წრეები ცდილობენ ერთი მხრივ შიგნიდან გამოუთხარონ ძირი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, ამასთან არ თაკილობენ არავითარ საშუალებას. მეორე მხრივ ცდილობენ სახელი გაუტეხონ და დაამახინჯონ ამ ქვეყნების ხალხთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის შედეგები. ცდილობენ სახელი გაუტეხონ ხალხების თვალში ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიურ სისტემას, მათს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და მათი მომხრე მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლება ასამბლეის ამ სესიაზე თავიანთ გამოსვლებში ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები უნგრეთის ამბების, აგრეთვე სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის ყოვლად წარმოუდგენელი დამახინჯებითა და ფალსიფიკაციით.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, თუ ნამდვილად რა მოხდა და რა ხდება უნგრეთში ამჟამად.

უნგრეთის მშრომელებმა, როგორც ცნობილია, თავიანთ ხელში აიღეს რა ძალაუფლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და გამოიყენეს რა სოციალისტური წყობილების უპირატესობანი, დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების გზაზე. მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის, სამრეწველო საწარმოების, ბანკების, რკინიგზებისა და წიაღისეულის ნაციონალიზაციის შედეგად შეიქმნა მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და სოციალისტური წყობილების განმტკიცების შესაძლებლობა.

უნგრეთში ამბების ამასწინანდელმა მსვლელობამ ცხადყო, რომ უნგრეთის მშრომელნი, რომლებმაც დიდ პროგრესს მიაღწიეს სახალხო-დემოკრატიული წყობილების საფუძვლებზე, სამართლიანად აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა შემდგომი პროგრესი — ეკონომიური მშენებლობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატიულ დამახინჯებათა აღმოფხვრა.

მაგრამ მშრომელთა ამ სამართლიან და პროგრესულ მოძრაობას შეუერთდნენ რეაქციისა და კონტრრევოლუციის ძალები, რომლებმაც სცადეს მშრომელთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოეყენებინათ იმისათვის, რომ ძირი გამოეთხარათ სახალხო-დემოკრატიული წყობილებისათვის უნგრეთში და აღედგინათ იქ ძველი მემამულურ-კაპიტალისტური წესები.

მიმართავდნენ რა დემაგოგიურ ლოზუნგებს და იფარებდნენ რა თავისუფლებისათვის მებრძოლთა ყალბ ნიღაბს, ანტიხალხური ელემენტები უნგრეთში ცდილობდნენ მოეტყუებინათ მშრომელი მასები, გაეყოლიებინათ ისინი. ნადის ეგრეთწოდებულმა მთავრობამ ფაშისტური ელემენტების სისხლიანი ტერორის პირობებში მოიშორა თავის შემადგენლობიდან უნგრეთის დემოკრატიული ძალების ყველა წარმომადგენელი, იგი შეიგსო რეაქციის ძალების წარმომადგენლებით, არსებითად დაიშალა როგორც დემოკრატიული მთავრობა, დაუთმო რა პოზიციები ანტიხალხურ რეაქციულ ძალებს. რეაქციამ სწრაფად დაიწყო კონტრრევოლუციური ფაშისტური გადატრიალების, უნგრეთის მშრომელთა სოციალისტური მონაპოვრის ლიკვიდაციისა და სახელმწიფოში კაპიტალიზმის რესტავრაციის მზადება.

გარედან პირდაპირი წაქეზებით და დახმარებით აშკარად თავი წამოჰყო ჰორტისტულმა ფაშისტურმა ოფიცერთამ, რომელიც სათავეში ჩაუდგა კონტრრევოლუციურ ძალებს. მათ დაიწყეს ამით, რომ მოშალეს უნგრეთის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება. მუშაობა შეწყვიტეს სამრეწველო საწარმოებმა, რკინიგზებმა, არ გამოდიოდა გაზეთები, ბევრგან შეწყდა მეცადინეობა სკოლებში და ა. შ. ფაშისტურმა ელემენტებმა დაიწყეს ხალხის შრომით შექმნილი სოციალისტური საწარმოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, გაზეთების, რედაქციების ნგრევა. მოთარეშე ფაშისტები მხეცურად გაუსწორდნენ უნგრელ პატრიოტებსა და პროგრესულ საზოგადომოღვაწეებს.

ამავე დროს გამოცოცხლდნენ საერთაშორისო რეაქციის ძალებიც, ცდილობდნენ რა დახმარება გაუწიათ თავიანთი პროფაშისტური მეგობრებისათვის უნგრეთში. საზღვარგარეთიდან უნგრეთში სასწრაფოდ იგზავნებოდა იარაღი, ჰორტისტთა და ნილაშისტთა და უნგრელი ხალხის სხვა მოსისხლე მტრების რაზმები, რომლებიც ერთ დროს საზღვარგარეთ გაექცნენ ხალხის სამართლიან სამსჯავროს. ეს რეაქციული რაზმები სპეციალურად ემზადებოდნენ სახალხო უნგრეთის წინააღმდეგ ძირგამოთხრელი მუშაობისათვის. გაძლიერდა აღვირახსნილი პროპაგანდა დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ. რადიოსადგური „ამერიკის ხმა" და ეგრეთწოდებული რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა", რომელიც ამერიკის სახსრებით არსებობს, დღედაღამ აშკარად მოუწოდებდნენ უნგრეთში კონტრრევოლუციური გადატრიალებისაკენ.

სავსებით ნათელი გახდა, რომ რეაქციული ძალები, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან და საფრანგეთიდან, ვარაუდობენ მოსპონ უნგრელი ხალხის ყველა დემოკრატიული მონაპოვარი და დაამყარონ იქ ფაშისტური დიქტატურა, გადაქციონ უნგრეთი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის ავანპოსტად, გახადონ იგი ევროპაში ომის გაჩაღების ერთ-ერთ კერად. კონტრრევოლუციური გადატრიალების განხორციელება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა მთელ უნგრელ ერს და საფრთხეს შეუქმნიდა ევროპის ხალხთა უშიშროებას. უნგრეთში ძველი წესების დაბრუნება სჭირდება იმათ, ვინც ესწრაფვის საერთაშორისო ვითარების გაფუჭებას, ხალხებს შორის მტრობის გაღვივებას.

უნგრეთში რეაქციის გამოცოცხლებას, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, არ შეიძლებოდა არ გამოეწვია არა მარტო უნგრეთის პატიოსანი პატრიოტების, არამედ აგრეთვე მთელი პროგრესული კაცობრიობის შეშფოთება და წუხილი. უნგრელმა ხალხმა ნადის კაბინეტიდან გამოსულ დემოკრატიულ მოღვაწეთა მეთაურობით არ მისცა ნება დაეშხოთ სახალხო-დემოკრატიული წყობილება, არ მისცა ნება ეკუღმა დაებრუნებინათ ისტორიის ჩარხი, აღედგინათ უნგრეთში მშრომელებისათვის საძულველი ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური წესები.

ანტიხალხურმა ავანტიურამ უნგრეთში სრული კრახი განიცადა. საბჭოთა მთავრობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ ამბების განვითარებას უნგრეთში მოჰყვა სისხლისღვრა.

უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხების ჩაფუშვა გააფთრებას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის გარკვეულ წრეებში, რამდენადაც ჩაიფუშა მათი ცდა განეხორციელებინათ კაპიტალისტური წესების რესტავრაცია აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში.

ახლა ეს წრეები ცდილობენ გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იმისათვის, რომ ცილი დასწამონ უნგრელ ხალხს.

გენერალური ასამბლეის მაღალი ტრიბუნიდან წარმოთქვამენ სიტყვებს, რომელთა მიზანია მტრობის გაღვივება ხალხებს შორის, ავრცელებენ სხვადასხვა მონაჭორსა და ინსინუაციებს უნგრეთისა და სხვა ქვეყნებში მოახდარი ამბების გამო, ქვეყნებში, რომლებიც ახორციელებენ დასავლეთისათვის მიუღებელ პოლიტიკას. განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენენ ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, რომლებიც მიმართავენ ყოველგვარ საშუალებას, რათა ხალხებს დაუმალონ სიმართლე უნგრეთის შესახებ და შეცდომაში შეიყვანონ ისინი.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს და ზოგიერთ სხვა დელეგატს, რომლებიც აქ გამოვიდნენ, თქვა შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა, სურდათ ჩრდილი მიეყენებინათ ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპისათვის, რომელსაც მტკიცედ იცავს საბჭოთა კავშირი თავის საგარეო პოლიტიკაში, საბჭოთა კავშირის პოზიციისათვის ბანდუნგის კონფერენციის პრინციპების და საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი რიგი სხვა საკითხების მიმართ. ამას ისინი ვერ შეძლებენ. როგორც უნდა სურდეთ რეაქციულ წრეებს დამაღლონ სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, ეს სიმართლე იპოვნის გზას ხალხებისაკენ.

საბჭოთა კავშირი ახორციელებდა და კვლავაც გულმოდგინედ განახორციელებს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ეცდება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განზორციელებას, მთელი ძალღონით იბრძოლებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

რაც შეეხება საბჭოთა ჯარების ყოფნას უნგრეთში, განაცხადა ვ. ვ. კუზნეცოვმა, საბჭოთა დელეგაციას სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ საბჭოთა ჯარები იქ იმყოფებიან ვარშავის ხელშეკრულების თანახმად და უნგრეთის კანონიერი მთავრობის თხოვნით. უნგრეთის მთავრობამ ითხოვა დახმარება გაგვეწია უნგრელი ხალხისათვის რეაქციისა და კონტრრევოლუციის ბნელი ძალების ალაგმვაში, ხალხთა სოციალისტური წყობილების აღდგენაში, უნგრეთში წესრიგისა და სიმშვიდის აღდგენაში.

უნგრეთის მთავრობამ აგრეთვე განაცხადა, რომ უნგრეთში წესრიგისა და სიმშვიდის აღდგენის შემდეგ იგი დაიწყებს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის მთავრობასთან და ვარშავის ხელშეკრულების სხვა მონაწილეებთან უნგრეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნის შესახებ.

ამრიგად, უნგრეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა მხოლოდ და მხოლოდ უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობების კომპეტენციას ეკუთვნის.

საბჭოთა წარმომადგენელმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისეთი რეგიონალური შეთანხმების არსებობისა და განხორციელების საკითხი, როგორიც არის ვარშავის ხელშეკრულება, შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების კომპეტენციას, და ყოველი ცდა იმისა, რომ ეს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განხილვის საგანი გახადონ, უკანონოა და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

მოიხსენია რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნგრეთის წარმომადგენლის ცნობა იმის შესახებ, რომ უნგრეთში მყარდება წესრიგი და სიმშვიდე, ვ. ვ. კუზნეცოვმა გამოთქვა რწმენა, რომ უნგრელი ხალხი შეძლებს დაძლიოს არსებული სიძნელეები და სწრაფად აღადგინოს ნორმალური ცხოვრება უნგრეთში.

ერთადერთი რამ, რაც ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოეთხოვება, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, ეს არის ის, რომ აღმოფხვრას ცდები — ხელი შეუშალონ უნგრელ ხალხს მის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში და უარყოს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის პრეტენზიები, რომელთა მიზანია ჩაერიონ უნგრეთის საშინაო საქმეებში იმ მიზნით, რომ აღადგინონ იქ ძველი კაპიტალისტური წესები.

შეეხო რა რეზოლუციას, რომელიც შეიტანეს კუბის, პერუს და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა, ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ ამ რეზოლუციაში არის ახალი ცდა — წაართვან უნგრელ ხალხს მისი კანონიერი უფლება მოაწყოს თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები გარედან ჩაურევლად. ამ რეზოლუციის პროექტის დანარჩენი დებულებებიც, განაგრძო საბჭოთა წარმომადგენელმა, მიზნად ისახავენ გაფართოვდეს და გაღრმავდეს უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევა, გაძლიერდეს ცილისმწამებლური კამპანია საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ. ზემოხსენებულის მიხედვით საბჭოთა დელეგაცია შემოტანილი რეზოლუციის წინააღმდეგია და მის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

შეეხო რა შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ შეტანილ რეზოლუციას, ვ. ვ. კუზნეცოვმა მოიგონა სხდომას, რომ საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება — დახმარების გაწევის წესით გაგზავნოს უნგრეთში დიდძალი სურსათი და სხვა საქონელი.

არის ცნობები, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას დახმარებას უწევენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები. სხვა მთავრობებსა და ორგანიზაციებსაც, რომლებიც აპირებენ დახმარება გაუწიონ უნგრეთს, შეუძლიათ, თუ სურვილი აქვთ, ადვილად გამონახონ ამ საკითხზე უნგრეთის მთავრობასთან პირდაპირი კონტაქტის დამყარების გზა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტი შეიცავს ცილისმწამებლურ მტკიცებას საბჭოთა კავშირის მიმართ და ნავარაუდევია იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანოს უნგრელი ხალხი და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. ამ მოტივებით საბჭოთა დელეგაცია ამ რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

უნგრეთის ახლანდელი ამბების ობიექტური შეფასება, განაცხადა დასასრულ ვ. ვ. კუზნეცოვმა, დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხი უნდა მოიხსნას გენერალური ასამბლეის ამ სესიის დღის წესრიგიდან, რადგან იგი ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ძირს უთხრის ორგანიზაციის ავტორიტეტს.

იმის ცდები, რომ განაგრძონ ამ საკითხის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ისე შეფასდეს, როგორც სურვილი მხარი დაუჭირონ რეაქციულ იატაკქვეშეთს უნგრეთში და გაართულონ უნგრეთის საშინაო ცხოვრების უსწრაფესი მოწესრიგება, რაც ხორციელდება ახალი მთავრობის ხელმძღვანელობით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განხილვიდან უნგრეთის საკითხის მოხსნა საჭიროებელი იქნება უნგრელი ხალხისათვის, რომელიც მოითხოვს, რომ არ ერეოდნენ მის საშინაო საქმეებში და მისცენ მას შესაძლებლობა განამტკიცოს უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული წყობილება.

ეს სასარგებლო იქნება მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვისაც.

3. 3. კუზნეცოვის განცხადების შემდეგ გამოვიდნენ საფრანგეთის, ავსტრალიის წარმომადგენლები, აგრეთვე ჩანკაიშელი, რომლებმაც გაიმეორეს ამერიკელი დელეგატის ცილისმწამებლური მონაჭორი. ამასთან საფრანგეთის დელეგატმა მწუხარება გამოთქვა, რომ, მიუხედავად „უნგრეთის საკითხის" არსებობისა უშიშროების საბჭომ და გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიამ 30 საათზე მეტი მოანდომეს ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის აგრესიის საკითხის განხილვას. ავსტრალიის დელეგატმა მოაწოდა სხდომას — სასურაფოდ გაიგზავნოს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი" უნგრეთში ან თუნდაც მის საზღვრებზე.

შემდეგ გამოცხადდა შესვენება 15 საათამდე ნიუ-იორკის დროით (9 ნოემბრის 23 საათამდე მოსკოვის დროით).

საბჭოთა წარმომადგენლები გაეცნენ საარჩევნო კამპანიას ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 9 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან სამშობლოში მიემგზავრება საბჭოთა წარმომადგენლების ჯგუფი უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ლ. ნ. სოლოვიოვის, გაზეთ „იზვესტიის" სარედაქციო კოლეგიის წევრის ვ. ლ. კუდრიავცევისა და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის მ. ი. რუბინშტეინის შემადგენლობით, რომლებიც გაეცნენ საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციასა და მიმდინარეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მოგზაურობის დროს საბჭოთა წარმომადგენლები იყვნენ შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში, დაესწრნენ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის, დემოკრატიული პარტიისაგან პრეზიდენტობის კანდიდატის სტივენსონის, ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონის წინასაარჩევნო გამოსვლებს, ჰქონდათ მრავალი საინტერესო შეხვედრა ამომრჩევლებთან, იყვნენ საარჩევნო უბნებში, სადაც თვალყურს ადევნებდნენ კენჭისყრის მომზადებასა და მიმდინარეობას.

დაიწყეს რა მოგზაურობა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, საბჭოთა წარმომადგენლები იყვნენ ორივე პარტიის მთავარ ბინებში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქშია. ქალაქ ლუისვილში (კენტუკის შტატი) საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად ქალაქის მერმა გამართა საუზმე, რომლის დროს მოეწყო საუბარი ადგილობრივ ხელისუფალთა და არჩევნების მომწყობ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან. საუზმეზე სიტყვა წარმოთქვა კონგრესმენმა რობსონმა, რომელიც გულთბილად მიესალმა საბჭოთა სტუმრებს. მან განაცხადა, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დელეგაციების გაცვლის გაფართოება ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საშუალებაა.

ქალაქებში ლოს-ანჯელოსში, დენვერში, ნიუტონსა და უჩიტაში საბჭოთა წარმომადგენლები იყვნენ მუშათა რაიონების საარჩევნო უბნებში. მრავალი შეხვედრის დროს, რაც ამომრჩეველთა ბინებში მოხდა, ისინი საუბრობდნენ საარჩევნო კამპანიასა და ამომრჩეველთა ცხოვრების პირობების შესახებ.

განსაკუთრებით გულთბილად მიიღეს საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები ქალაქ მაკფერსონის (კანზასის შტატი) მცხოვრებლებმა, რომლებიც დელეგაციას შეხვდნენ პლაკატებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, საბჭოთა სტუმრებო".

სადილზე, რომელიც ქალაქის ერთ-ერთმა საეკლესიო ძმობამ გამართა, სიტყვა წარმოთქვა ლ. ნ. სოლოვიოვმა. მან გამოთქვა რწმენა რომ საბჭოთა და ამერიკელ ხალხებს შორის კონტაქტების ყოველი ღონისძიებით გაფართოება იქნება მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების ქმედითი საშუალება. ჩვენი მოგზაურობის მიზანი, თქვა მან, არის არა მარტო ის, რომ გავეცნოთ იმას, თუ როგორ მიმდინარეობს არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ აგრეთვე ის, რომ ხელი შევუწყოთ ორ ხალხს შორის კონტაქტების განვითარებას.

მაკფერსონში საბჭოთა წარმომადგენლები დაესწრნენ აგრეთვე პროკურორის სახლში გამართულ დისკუსიას, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები. დისკუსიის მონაწილენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათი პარტიების პოლიტიკურ პროგრამებში არ არის რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება.

ქალაქ ან-არბორში საბჭოთა წარმომადგენლები ესაუბრნენ მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორთა და მასწავლებელთა ჯგუფს. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ამ საუბრის დროს, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი დადებითი მნიშვნელობა ექნებოდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კულტურული, მეცნიერული და სტუდენტთა დელეგაციების ფართოდ გაცვლას.

არჩევნების დღეს 6 ნოემბერს საბჭოთა წარმომადგენლები იყვნენ ნიუ-იორკის საარჩევნო უბნებში, მათ შორის ზანგთა რაიონ ჰარლემში. აქ ისინი გაეცნენ საარჩევნო დოკუმენტაციასა და ესაუბრნენ კონგრესმენ პოუელს. ორგანიზაცია „პატიოსანი არჩევნების ასოციაციის" წარმომადგენლებმა, რომლებიც საბჭოთა სტუმრებს ახლდნენ საარჩევნო უბნებში, გააცნეს მათ ხმის მისაცემი სპეციალური მანქანები.

საღამოს საბჭოთა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" შენობები და ესაუბრნენ ამ გაზეთის მფლობელსა და გამომცემელს სულცბერგერს. შემდეგ ისინი დაესწრნენ ხმების წინასწარ დათვლასა და კენჭისყრის შედეგების გადაცემას რადიოტელევიზიის უდიდესი კომპანიების სტუდიებში. „ინბკ" სტუდიის სატელევიზიო პროგრამაში საბჭოთა სტუმრებმა ამერიკელ მსმენელებს გააცნეს თავიანთი შთაბეჭდილებანი, მიღებული ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობისას. შემდეგ სასტუმრო „ბარბიზონ პლაზაში" გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომლის დროს საბჭოთა წარმომადგენლებმა უპასუხეს ამერიკას პრესის წარმომადგენელთა მრავალ კითხვაზე.

კაირო-ში ჩავიდა გენერალი ბერნსი

კაირო, 9 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ კაიროში ჩამოვიდა პალესტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა შტაბის უფროსი გენერალი ბერნსი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დანიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დადაწყვეტილებათა განმახორციელებელი საერთაშორისო ძალების მეთაურად.

ჩამოსვლის შემდეგ ბერნსი შეხვდა ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრს მაჰმუდ ფაზზის.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან მიიღო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ისრაელი მზად არის გაიყვანოს თავისი ჯარები ეგვიპტიდან მას შემდეგ, რაც „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დამაკმაყოფილებლად განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო პოლიციური ძალების შექმნასთან".

ისრაელის თვითმფრინავებმა დაარღვიეს იორდანიის საჰაერო სივრცე

დამასკო, 9 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პრესა ამბობდა, 7 ნოემბერს იორდანიის არმიის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო ისრაელის ორი თვითმფრინავი, რომლებმაც დაარღვიეს იორდანიის საჰაერო სივრცე.

ჩინეთში შეიქმნა ეგვიპტის დამხმარე სახალხო კომიტეტი

პეკინი, 8 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პეკინში ჩინეთის მშვიდობის დაცვის სახალხო კომიტეტის ინიციატივით გაიმართა ჩინეთის ყველა დემოკრატიული პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც გადაწყდა შეიქმნას აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ეგვიპტის დამხმარე ჩინეთის სახალხო კომიტეტი. თათბირმა მიიღო ახლად შექმნილი კომიტეტის დეკლარაცია.

საუდის არაბეთის დახმარება ეგვიპტისადმი

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ჯიდიდან იუწყება, საუდის არაბეთის მეფემ საუდმა ეგვიპტის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას საჭიროებისათვის გაუგზავნა ორი მილიონი რიალი, რათა დახმარება გაუწიოს ეგვიპტის მოსახლეობას, რომელიც დაზარალებულია ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიის შედეგად.

ინდონეზიელი მოხალისეები მზად არიან დაიცვან ეგვიპტის სამართლიანი საქმე

ჯაკარტა, 9 ნოემბერი. (საკდესი). როგორც იუწყება ეგვიპტის ელჩი ინდონეზიაში ელ-ამრუსი, ამჟამად უკვე 50 ათასამდე ინდონეზიელმა მოხალისემ განაცხადა, რომ სურვილი აქვს იბრძოლონ ეგვიპტის მხარეზე აგრესორთა წინააღმდეგ.

ერაყის მთავრობამ ბაღდადის პაქტი გადაწყვეტილად ჩააბარა

ლონდონი, 10 ნოემბერი.